# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

(ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები)

# პ ა ს პ ო რ ტ ი

2007 წელი

შინაარსი:


| | | | გვერდი |
|---|---|---|---|
| 1 | მხარის ზოგადი დახასიათება | | 3 |
| 2 | ხელისუფლება | | 7 |
| 3 | მოსახლეობა და დასაქმება | | 8 |
| 4 | განათლება და კულტურა | | 12 |
| 5 | კულტურის ძეგლები | | 15 |
| 6 | მხარის ეკონომიკა | | 23 |
| | 6.1 | მხარის ბიუჯეტი | 24 |
| | 6.2 | მრეწველობა | 29 |
| | 6.3 | სოფლის მეურნეობა | 31 |
| | 6.4 | სატრანსპორტო სისტემა | 40 |
| | 6.5 | ენერგეტიკა | 44 |
| | 6.6 | ექსპორტი | 49 |
| | 6.7 | ვაჭრობა | 53 |
| | 6.8 | სასტუმროების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები | 53 |
| | 6.9 | კომერციული ბანკები | 57 |
| | 6.10 | ჯანმრთელობის დაცვა | 59 |
| 7 | მინერალური და რეკრეაციული რესურსები | | 62 |
| 8 | მხარის საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა | | 70 |
| 9 | საინფორმაციო მომსახურების სისტემა | | 77 |
| 10 | მხარის საინვესტიციო პოტენციალი | | 81 |

## 1. ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადი დახასიათება

ტერიტორიის ფართობი – 2 900 კვ. კმ

ადმინისტრაციული ცენტრი – ქალაქი ბათუმი

მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 376 კმ

კლიმატი – სუბტროპიკული

### ზოგადი მონაცემები

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი უჭირავს და ერთიან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ოლქს წარმოადგენს. მისი უკიდურესი წერტილებია: ჩრდილოეთით მდინარე ჩოლოქის შესართავი (ჩ.ს. $41^{0}53^{I}$), სამხრეთით – ხედის მთა (ჩ.ს. $41^{0}26^{I}$), აღმოსავლეთით – ღრმანის მთა (ა.გ. $42^{0}35^{I}$), დასავლეთით – სოფელი სარფი (ა.გ. $41^{0}33^{I}$). ადმინისტრაციულად ჩრდილოეთით ოზურგეთის და ჩოხატაურის, ხოლო აღმოსავლეთით ადიგენის რაიონები ესაზღვრება. სამხრეთით აჭარის საზღვარი ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფართობი 2.9 ათას კვ. კმ შეადგენს, საიდანაც დაბლობზე მოდის 1,7%, მთისწინეთზე – 0,8%, მთაზე – 97,5%. ტერიტორიის ოროგრაფიულ საფუძველს ქმნის საკმაოდ მაღალი მთიანი ქედები და მძლავრი განშტოებანი, მათგან აჭარა-გურიისა და შავშეთის ქედებს თითქმის განედობრივი მიმართულება აქვთ. პირველი ავსებს აჭარის ჩრდილოეთ მხარეს, მეორე – სამხრეთს მესამე – არსიანის ქედი მერიდიანულად გაჭიმულია აჭარის აღმოსავლეთ მხარეში. ამ ქედების საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 2000-2500 მ-ს შორის მერყეობს, ხოლო ცალკეული მწვერვალებისა კი 3000 მ-ს უახლოვდება. აჭარის მთების უმაღლესი წერტილია ყანლის

მთა (2987 მეტრი), რომელიც მდებარეობს არსიანის ქედის სამხრეთ ნაწილში, იმ ადგილას, სადაც მას შავშეთის ქედი უკავშირდება.

ტერიტორია საშუალო და მაღალმთიანეთის, მთა-ტყისა და ტენიანი სუბტროპიკული ლანდშაფტური კატეგორიების რთული კომპლექსია, რომელთაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ, მაგრამ ამავე დროს თითოეული მათგანი თვითმყოფადი და მკაცრად ინდივიდუალურია. გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატური პირობების, მცენარეული საფარისა და ლანდშაფტის ნაირგვარობით 2 ნაწილად იყოფა – აჭარის ზღვის სანაპირო მხარედ და შიდამთიან აჭარად. ზღვისპირა ზოლი ტენიანი სუბტროპიკული ჰავით ხასიათდება, ხოლო შიდამთიან მხარეში ხმელთაშუა ზღვის მშრალი სუბტროპიკული ჰავის მსგავსი კლიმატით.

სანაპირო ზოლში ძირითადად გავრცელებულია წითელმიწა ნიადაგები. სანაპირო ვაკე (ქობულეთისა და კახაბრის დაბლობი) ჭარბტენიანი და ალუვიური ნიადაგებითაა წარმოდგენილი. გორაკ-ბორცვისა და მთისწინა ქვეზონაში უმეტესად ძლიერი და მკვეთრად გამოხატული წითელმიწების პროცესებია განვითარებული. მთა-ტყის ნიადაგების ქვედა ზონაში ტენიანი კლიმატის პირობებში მჟავე ნიადაგების საფარია შესამჩნევი, შუა ზონაში ტყის ყომრალი ნიადაგებია და გამოირჩევა მორუხო და მოყავისფრო შეფერადებით, ზემო ზონაში კი ყომრალი ნიადაგები უფრო ღია შეფერადებით ხასიათდება. სუბალპურ ზონაში უმეტესად ტყემდელოს ნიადაგებია და გვხდება როგორც საშუალოდ განვითარებული ხორხატიანი, ისე პრიმიტიული და ჭარბტენიანი ნიადაგები. ალპური ზონა მთა-მდელოს კორდიანი ნიადაგებითაა წარმოდგენილი.

აჭარის ჰავის ძირითად თავისებურებას განსაზღვრავს ერთის მხრივ შავი ზღვის უშუალო სიახლოვე და მეორე მხრივ, რელიეფის თავისებურებანი. ზღვა პირდაპირ გავლენას ახდენს ჰაერის ტემპერატურაზე, ანელებს ზაფხულის მაღალ ტემპერატურას და სითბოს მატებს ზამთრის სიცივეს,

რელიეფის სირთულე კი განსაზღვრავს რთულ მიკროკლიმატურ პირობებსა და ჰავის ვერტიკალურ ზონალობას.

მაღალმთიანეთს ყველაზე მკაცრი ჰავა ახასიათებს და მიეკუთვნება ნოტიო კლიმატის ზომიერად ცივი ზამთრისა და მოკლე ზაფხულის ტიპს. აქ ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1400 მმ-ზე მეტია, ხოლო წლიური საშუალო ტემპერატურა – 3,5-4$^0$C, მთა-ტყის ზონის ჰავა ნოტიო კლიმატის ზომიერად ცივი ზამთრის და თბილი, ხანგრძლივი ზაფხულის ტიპს მიეკუთვნება, ზონაში ნალექების წლიური რაოდენობა 1200 მმ-ს და მეტს შეადგენს, ხოლო წლიური საშუალო ტემპერატურა 10-11$^0$C-ია.

ტენიანი სუბტროპიკული ზონა ხასიათდება თბილი კლიმატით, თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით, ნალექების რაოდენობა 2500 მმ-ს, ხოლო წლიური საშუალო ტემპერატურა 14$^0$C-ს უახლოვდება. მზის ნათების საშუალო წლიური ხანგრძლივობა 1903 საათის ტოლია.

აჭარის ჰიდროგრაფიულ ქსელს ქმნის მდინარეები, ტბები, ჭაობები და მიწისქვეშა წყლები, რომელთა ეროზიის ბაზისად შავი ზღვა გვევლინება. მდინარეები უმეტესად წვიმის წყლით საზრდოობის ტიპს მიეკუთვნებიან, მაგრამ მაღალმთიან ნაწილში დიდია აგრეთვე თოვლის ნადნობი წყლებითა და მიწისქვეშა წყლებით საზრდოობის როლი, რის გამოც მათ ახასიათებთ ორი – გაზაფხულისა და შემოდგომის მაქსიმუმები. მათი უმრავლესობა მიეკუთვნება შავ ზღვაში ჩამდინარე მდ. ჭოროხის სისტემას, ხოლო ნაწილი უშუალოდ ჩაედინება ზღვაში. ამასთან, ინტენსიური წვიმებისა და თოვლის დნობისაგან აჭარის ტერიტორიაზე წარმოიქმნება უამრავი დროებითი ნაკადები.

ტბები აჭარაში როგორც დაბლობ ისე მთიან ნაწილშიც გვხდება. ტბები პატარა ფართობითა და მცირე სიღრმით ხასიათდება. მთიანი ნაწილის ყველა ტბა მტკნარი და ნაკლებ მინერალიზირებულია (მწვანე ტბა, სარიჩაირის ტბები, ბოძაურისა და ჩირუხის იაილების ტბები).

გამონაკლისს წარმოადგენს ზღვისპირა ვაკის რელიქტური ტბები – ნურიგელის ტბა, არდაგანის ტბები, გონიოს ტბა და სხვა, რომლებიც არც ისე დიდი ხნის წინ უკავშირდებოდნენ ზღვას და ხასიათდებოდნენ მომლაშო წყლით, მაგრამ ზღვიდან მოწყვეტის გამო ახლა გამტკნარებას განიცდიან.

ჭაობები აჭარაში ძირითადად ზღვის სანაპირო დაბლობზეა გავრცელებული. მათ შორის ყველაზე დიდი ფართობი ქობულეთის ჭაობებს უკავია, რომელიც ისპანის ჭაობის სახელწოდებითაა ცნობილი. სანაპირო ზოლში ჭაობები შემორჩენილია აგრეთვე კახაბრის დაბლობზე.

მიწისქვეშა წყლები აჭარის ზღვისპირა ვაკიან ზოლში ზედაპირთან ძლიერ ახლოს მდებარეობს და იგი ითვლება ადგილის დაქანებისა და მდინარის დონიდან დაშორების მიხედვით, ასევეა მთიან აჭარაშიც. საერთოდ მთიან აჭარაში მიწისქვეშა წყლები უხვ წყაროებად გამოედინებიან და მონაწილეობენ მდინარეთა საზრდოობაში.

წყლის ძირითადი არტერიები:

| მდინარეები | სიგრძე კმ |
|---|---|
| მდ. ჩოლოქი | 24 |
| მდ. კინტრიში | 16 |
| მდ. აჭყვა | 19 |
| მდ. ჩაქვისწყალი | 22 |
| მდ. ყოროლისწყალი | 13 |
| მდ. ბარცხანა | 8,6 |
| მდ. ჯოჭოსწყალი | 6 |
| მდ. ჭარნალი | 13 |
| მდ. ჭოროხი | 438 |

| | |
|---|---|
| საქართველოში | 26 |
| მდ. მაჭახელასწყალი<br>საქართველოში | 37<br>21 |
| მდ. აჭარისწყალი | 90 |

## 2. ხელისუფლება

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო** – არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა** – არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა, მერია) ორგანოების მიერ შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით:

– თვითმმართველი ქალაქი ბათუმი

– ქობულეთის მუნიციპალიტეტი
– ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
– ქედის მუნიციპალიტეტი
– შუახევის მუნიციპალიტეტი
– ხულოს მუნიციპალიტეტი

## 3. მოსახლეობა და დასაქმება

მოსახლეობის რიცხოვნობა: 1.01.2006წ. – 383 772

აქედან: ქალაქის – 169 667; სოფლის – 214 105

მოსახლეობის სიმჭიდროვე: 1.01.2007წ. – 133 (1 კვ.კმ.)

მოსახლეობის მთლიანი რაოდენობიდან:

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) – 160 200

დასაქმებულთა რიცხოვნობა – 131 100

აქედან: დაქირავებული – 46 600

თვითდასაქმებული – 84 200

უმუშევართა რიცხოვნობა – 29 100

## მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა:

| | | |
|---|---|---|
| ქართველი | – | 324 800 |
| აფხაზი | – | 1 600 |
| ოსი | – | 200 |
| რუსი | – | 9 100 |
| უკრაინელი | – | 1 100 |
| აზერბაიჯანელი | – | 500 |
| სომეხი | – | 8 800 |
| ბერძენი | – | 2 200 |
| სხვა ეროვნების | – | 1 400 |

## მოსახლეობის რიცხოვნობა მსხვილ დასახლებებში:

| | | |
|---|---|---|
| ქ. ბათუმი | – | 124 846 |
| ქ. ქობულეთი | – | 18 843 |
| დაბა ჩაქვი | | 8 326 |
| დაბა ოჩხამური | | 5 205 |
| დაბა ხელვაჩაური | | 6 412 |
| დაბა მახინჯაური | | 3 440 |
| დაბა ქედა | | 1 297 |
| დაბა შუახევი | | 995 |
| დაბა ხულო | | 1 179 |

## მოსახლეობის რიცხოვნობა მსხვილი ქალაქებისა და სოფლების მიხედვით

| | 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით | 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| **აჭარის ა.რ.** | **376016** | **383772** | **386194** |
| ქალაქად | 166398 | 169667 | 170543 |
| სოფლად | 209618 | 214105 | 215651 |
| **ქ. ბათუმი** | **121806** | **124176** | **124846** |
| **ქობულეთის რაიონი** | **88063** | **89838** | **90292** |
| ქ. ქობულეთი | 18556 | 18832 | 18843 |
| დაბა ჩაქვი | 8100 | 8273 | 8326 |
| დაბა ოჩხამური | 5026 | 5155 | 5205 |
| სოფლად | 56381 | 57578 | 57918 |
| **ხელვაჩაურის რაიონი** | **90843** | **92843** | **93551** |
| დაბა ხელვაჩაური | 6143 | 6365 | 6412 |
| დაბა მახინჯაური | 3401 | 3418 | 3440 |
| სოფლად | 81299 | 83060 | 83699 |
| **ქედის რაიონი** | **20024** | **20261** | **20317** |
| დაბა ქედა | 1244 | 1284 | 1297 |
| სოფლად | 18780 | 18977 | 19020 |
| **შუახევის რაიონი** | **21850** | **22206** | **22370** |
| დაბა შუახევი | 980 | 993 | 995 |
| სოფლად | 20870 | 21213 | 21375 |
| **ხულოს რაიონი** | **33430** | **34448** | **34818** |

| | | | |
|---|---|---|---|
| დაბა ხულო | 1142 | 1171 | 1179 |
| სოფლად | 32288 | 33277 | 33639 |

დასაქმების მაჩვენებლები

2006 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობა შეადგენდა 383,7 ათას კაცს, მათთგან შრომისუნარიან მოსახლეობა – 250,6 ათასი კაცი (მთელი მოსახლეობის 65%-ს), ხოლო შრომისუნარიანი მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში დაახლოებით – 240 ათას კაცი (მთელი მოსახლეობის 62%).

აქედან ეკონომიკურად აქტიური მოსახელობა 2006 წელს შეადგენდა 160,2 ათას კაცს, რაც შრომისუნარიანი მოსახლეობის 66.7 %-ს უდრის.

უმუშევართა რაოდენობა დაახლოებით 29,1 ათასია, ანუ სამუშაო ძალის 18.1 %. დასაქმებულთა რაოდენობა – 131.1 ათასი კაცი, ანუ საერთო რაოდენობის 81.9 %.

საშუალო ხელფასი

2006 წლისათვის დაქირავებულთა საშუალო ხელფასი საბიუჯეტო სექტორში 218 ლარს (128 აშშ დოლარს)  შეადგენდა, ხოლო არასაბიუჯეტო სექტორში – 250 ლარს (145 აშშ დოლარს).

## 4. განათლება და კულტურა

ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული  უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

1. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. ბათუმის საზღვაო აკადემია
3. ბათუმის უცხო ენათა ინსტიტუტი
4. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი
5. სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტი
6. ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი
7. სამედიცინო ეკოლოგიური ინსტიტუტი
8. ბათუმის მრავალპროფილიანი ინსტიტუტი
9. ბათუმის ეკონომიკის, სამართლის, ფარმაციისა და სტომატოლოგიის ინსტიტუტი
10. ბათუმის დამოუკიდებელ ერთაშორისი ინსტიტუტი
11. კოლხეთის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
12. ბათუმის მრავალდარგოვანი ინსტიტუტი.

სახელმწიფო და კერძო პროფესიული სასწავლებლები

1. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური კოლეჯი
2. ბათუმის მრავალდარგოვანი სახელმწიფო კოლეჯი
3. ბათუმის სახელმწიფო ინდუსტრიული პედაგოგიური კოლეჯი
4. ბათუმის პოლიტექნიკური პროფესიული ლიცეუმი

5. ბათუმის მრავალდარგობრივი პროფესიული ლიცეუმი

6. ბათუმის ტექნიკური პროფესიული სასწავლებელი

7. ქობულეთის პროფესიული ლიცეუმი

8. ბათუმის საზღვაო კოლეჯი

9. ბათუმის სამედ. პედაგოგიური კოლეჯი

10. ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტთან არსებული მრავალდარგოვანი კოლეჯი

11. მრავალდარგოვანი კოლეჯი „მედიცინა“

12. ბათუმის ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სასწ.ავლებელი

13. ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი

14. რ. ლაღიძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

15. შპს „ელექსირი“ კოლეჯი

16. მრავალდარგობრივ ინსტიტუტთან არსებული კოლეჯი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სფეროში დასაქმებულია 332 ბუღალტერი და ეკონომისტი. ამათგან უმაღლესი განათლება აქვს 80 კაცს, პროფესიული – 247 კაცს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები (რაოდენობა და პროფილი)

| № | ქალაქი, მუნიციპალიტეტი | სკოლამდელი | დაწყებითი | საბაზო | სრული ზოგადი | სპორტული სკოლა | პროფესიული სასწავლებელი | უმაღლესი სასწავლებლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი | 22 | – | – | 21 | 1 | 15 | 12 |
| 2 | ქობულეთის მუნიციპალიტეტი | 5 | – | 10 | 41 | 1 | 1 | – |
| 3 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | 4 | 5 | 6 | 37 | 1 | – | – |
| 4 | ქედის მუნიციპალიტეტი | 1 | 3 | 8 | 18 | 1 | – | – |
| 5 | შუახევის მუნიციპალიტეტი | 1 | – | 14 | 29 | 1 | – | – |
| 6 | ხულოს მუნიციპალიტეტი | 1 | – | 13 | 37 | 1 | – | – |

ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული სპორტული სკოლები

1. ბათუმის №1 კომპლექსური სპორტული სკოლა
2. ქობულეთის რაიონის №2 კომპლექსური სპორტული სკოლა
3. შუახევის რაიონის №3 კომპლექსური სპორტული სკოლა
4. ქედის რაიონის №4 კომპლექსური სპორტული სკოლა
5. ხულოს რაიონის №5 კომპლექსური სპორტული სკოლა
6. ხელვაჩაურის რაიონის №6 კომპლექსური სპორტული სკოლა.

ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული კულტურული ღირსშესანიშნაობებიდან გამოიყოფა:

1. ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
2. ბათუმის მოზარდ-მაყურებელთა და თოჯინების სახელმწიფო თეატრი
3. ხულოს სახელმწიფო თეატრი
4. აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი
5. აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
6. გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი
7. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი
8. ციხისძირის მუზეუმ-ნაკრძალი.

## 5. კულტურის ძეგლები

| № | ძეგლის მდებარეობა | ძეგლის დასახელება | აგების თარიღი |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ბარათაშვილის ქ. №23 | სახელმწიფო ცირკი | XX ს-ის დასაწყისი |
| 2 | ზღვისპირა პარკი | კოლონადა | 1934წ. |
| 3 | ქ. ბათუმი | ბათუმის ზღვისპირა ბულვარი | 1884წ. |
| 4 | გოგებაშვილის ქ. №3 | ბათუმის საზღვაო სადგური | XXს. 60-იანი წწ. |
| 5 | ჯინჭარაძის ქ. №4 | აჭარის სახელმწიფო მუზეუმი | XXს. 10-იანი წწ. |
| 6 | გოგებაშვილის №12-14/<br>ფარნავაზ მეფის №1 | ჩაის სახლი | XIX-XXს. დასაწყისი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | გოგებაშვილის 22/ხულოს ქ. №2/<br>ქუთაისის ქ. №27 | ბათუმის სამხატვრო სკოლა | XIX-ს 80-იანი წწ. |
| 8 | გოგებაშვილის ქ. №24/<br>ხულოს ქ.№1 | გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“ | XX ს-ის დასაწყისი |
| 9 | ერას ქ. №8 | ხელოვნების მუზეუმი | 1949 წელი |
| 10 | მელიქიშვილის ქ. №21 | ჟურნალ „ჭოროხის” რედაქცია | XIX-XXსს მიჯნა |
| 11 | მელიქიშვილის ქ. №3 | ბათუმის №1 საშ. სკოლა | – |
| 12 | მელიქიშვილის ქ. №4 | პიონერთა პარკის შესასვლელი კოლონადა | – |
| 13 | ზუბალაშვილის ქ. №30-32 | საცხოვრებელი სახლი/<br>ამჟ. სასტუმრო 1 მაისი | XX-ს 50-იანი წწ. |
| 14 | ზუბალაშვილის ქ. №37 | ყოფილი რკინიგზის ვაგზლის შენობა | XX ს-ის ბოლო |
| 15 | ზ. გამსახურდიას ქ. №6/<br>ახ. მელაშვილის ქ. №10 | რესტორანი „ბათუმი“ | XIX-XXსს მიჯნა |
| 16 | ზ. გამსახურდიას ქ. №13 | ბათუმმრეწვაჭრობა | XIX-XXსს მიჯნა |
| 17 | ზ. გამსახურდიას ქ. №35 | ძველი აბანო | XIX ს-ის I ნახ. |
| 18 | რუსთაველის პრ. №1 | ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. დრამატული თეატრი | XXს 30-იანი წწ.<br>დასრ. ომის შემდეგ<br>არქ. ტეპლიცკი |
| 19 | რუსთაველის პრ. №16 | აჭარის ასსრ კინემატოგრაფიის კომიტეტი | XIXს 90-ანი წწ. |
| 20 | რუსთაველის პრ. №39/26 მაისის ქ. №5 | სამშობიარო სახლი | XIX-XXსს მიჯნა |
| 21 | მემედ აბაშიძის პრ. №8 | თურქეთის რესპუბლიკის საკონსულო | 1892 |
| 22 | მემედ აბაშიძის პრ. №25/<br>კ. გამსახურდიას ქ. №12 | | 1900 წელი |
| 23 | მემედ აბაშიძის პრ. №33 | კავშირგაბმულობის სამინისტრო, ფოსტა | |
| 24 | მემედ აბაშიძის პრ. №38 | გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა” | XXს 30-იანი წწ. |
| 25 | მემედ აბაშიძის პრ. №40/<br>დიმიტრი თავდადებულის ქ. №12 | ბათუმის დიპლომატიური სააგენტო/<br>საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობა ბათუმში | XX ს-ის დასაწყისი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 | მემედ აბაშიძის პრ. №41 | ბათუმის ალკკ კომიტეტი/აჭარის ტელევიზია | XX ს-ის დასაწყისი |
| 27 | მემედ აბაშიძის პრ. №49 | 1. განათლების მუშაკთა პროფკავშირების აჭარის საოლქო საბჭოს კულტურის სახლი<br>2. თოჯინების თეატრი/განათ. მუშაკთა სახლი | XIX-XXსს მიჯნა |
| 28 | ფარნავაზ მეფის ქ. №20 | რუსული მართლმადიდებლური ეკლესია | 1865 წელი |
| 29 | დ. თავდადებულის ქ. №53/<br>ზუბალაშვილის ქ. №25 | წმ. მარიამის სახ. კათოლიკური ეკლესია | 1898-1903 წწ. |
| 30 | ჩკალოვის ქ. №8/<br>ქუთაისის ქ. №33 | მეჩეთი | |
| 31 | გორგასალის ქ. №47 | ქ. ბათუმის 1-ლი საავადმყოფო | XX ს-ის დასაწყისი |
| 32 | ხულოს ქ. №8/<br>ზ. გამსახურდიას ქ. №36 | საცხოვრებელი სახლი | |
| 33 | ხულოს ქ. 12 | აბანო №3 | |
| 34 | ლ. ასათიანის ქ. №25/ერას ქ. №7 | ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომი | XIX-XXსს მიჯნა |

## ქობულეთის მუნიციპალიტეტი

| № | ძეგლის დასახელება | აგების თარიღი | ძეგლის მდებარეობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ქობულეთის ზღვისპირა ბაღი | | ქ. ქობულეთი |
| 2 | „მამუკას ციხე" | გვიანი შუა საუკ. | სოფ. ალამბარი |
| 3 | ბობოყვათის სამთავრობო რეზიდენცია | | სოფ. ბობოყვათი |
| 4 | „წმ. მარიამის" ეკლესია | XIX ს. | სოფ. დაგვა |
| 5 | „წმ. კონსტანტინეს" გუმბათიანი ეკლესია | 1901-1911 წწ. | სოფ. ზედა კვირიკე |
| 6 | დარბაზული ეკლესია | გვიანი შუა საუკუნ. | სოფ. ზედა აჭყვია |

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | „წმ. გიორგის" ეკლესია | XX ს. | სოფ. ზედა აჭყვია, სასაფლაოზე |
| 8 | საწნახელი | ძვ.წ. აღ. III საუკ. | სოფ. ზენითი |
| 9 | ჯამე | გვიანი შუა საუკ. | სოფ. კვირიკე |
| 10 | ცხემვანის ხიდი | გვიანი შუა საუკ. | სოფ. კობალაური. მიდამოები "ცხემვანი" |
| 11 | „ვარჯანაულის ხიდი" | გვიანი შუა საუკ. | სოფ. ტყემაკარავი, 4 კმ. აღმოსავლეთით კინტრიშის ხეობა |
| 12 | ხიდი | XIX ს. | სოფ. ტყემაკარავი, მდ. კინტრიში |
| 13 | „წმ. გიორგის" ეკლესია | XX ს. | სოფ. ქვედა აჭყვა |
| 14 | ჯამე | XIX ს. | სოფ. ქვედა დაგვა |
| 15 | ხიდი | XIX ს. | სოფ. ქობულეთი |
| 16 | „პეტრას ციხე"<br>1. საკათედრო ტაძარი<br>2. ტაძრის ნანგრევები<br>3. გალავანი<br>4. სხვა ნაგებობანი | <br>VI ს.<br>შუა საუკუნეები<br>შუა საუკუნეები<br>შუა საუკუნეები | სოფ. ციხისძირი |
| 17 | „ელიას ციხე" | შუა საუკ. | სოფ. ჭახათი, მიდამოები "ჭახათის მთა" |
| 18 | გუმბათიანი ეკლესია „სამება" | XIX ს. | სოფ. ჩაისუბანი |
| 19 | ჯამე | გვიანი შუა საუკ. | სოფ. ხალა |
| 20 | ხიდი „თემარკოფის ხიდი" | გვიანი შუა საუკ. | სოფ. ხალა |
| 21 | სამონასტრო კომპლექსი<br>1. ეკლესიის ნანგრევი<br>2. გალავანი<br>3. სხვა ნაგებობანი | <br>შუა საუკუნეები<br>შუა საუკუნეები<br>შუა საუკუნეები | სოფ. ხინო |
| 22 | ჯამე | 1923 წ. | სოფ. ხეცუბანი, სასაფლაოზე |

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 | ხიდი | XIX ს. | სოფ. ხეცუბანი |

## ქედის მუნიციპალიტეტი

| № | ძეგლის დასახელება | აგების თარიღი | ძეგლის მდებარეობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ჯამე | XIX ს. | სოფ. აბუქეთა |
| 2 | ჯამე | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. ახო |
| 3 | კოშკის ნანგრევი | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. გეგელიძეები |
| 4 | ჯამე | XIX ს. | სოფ. გეგელიძეები |
| 5 | ჯამე | XIX ს. | სოფ. გულები |
| 6 | დანდალოს ხიდი | XI–XII სს. | სოფ. დანდალო, გარეუბანი |
| 7 | ციხე „კავიანი" | XII-XIII სს. | სოფ. დანდალო, „ქალივაკე" |
| 8 | ჯამე | XIX ს. | სოფ. დოლოგანი |
| 9 | ჯამე | XIX ს. | სოფ. ვარჯანისი |
| 10 | ჯამე | XIX ს. | სოფ. ზედა ბზუბზუ |
| 11 | კოშკი | შუა საუკუნეები | სოფ. ზედა მახუნცეთი |
| 12 | ციხე | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. ზენდიდი |
| 13 | ეკლესია | განვით. შუა საუკუნეები | სოფ. ზენდიდი |
| 14 | კოშკი | შუა საუკუნეები | სოფ. ზესოფელი, სამხ.-დასავლეთით |
| 15 | ციხის ნანგრევი | განვით. შუა საუკუნეები | სოფ. ზენდიდი |
| 16 | კოშკი | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. ზვარე, ცენტრ. გზაზე |
| 17 | ჯამე | 1834 წ. | სოფ. ზვარე |

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 | ჯამე | XIX ს. | სოფ. კვაშტა |
| 19 | ჯამე | XIX ს. | სოფ. კოკოტაური |
| 20 | ჯამე | XIX ს. | სოფ. კოლოტაური |
| 21 | მედრესე | XIX ს. | სოფ. მილისა |
| 22 | წყარო | XX ს. | სოფ. მეძიბნა |
| 23 | შერვაშიძეების ნასახლარი | XVII ს. | სოფ. ოქტომბერი |
| 24 | ციხე „ცივისროლა" | შუა საუკუნეები | სოფ. პირველი მაისი, მიდამოები |
| 25 | "მიწის ხიდი" | შუა საუკუნეები | სოფ. პირველი მაისი, მიდამოები |
| 26 | ჯამე | XIX ს. | სოფ. უჩხითი |
| 27 | ხიდი | XI-XII სს. | სოფ. ქვედა მახუნცეთი |
| 28 | ჯამე | XIX ს. | სოფ. ქვედა მახუნცეთი |
| 29 | ხიდი | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. ცხომორისი |
| 30 | ჯამე | XIX ს. | სოფ. ცხომორისი |
| 31 | ციხე | შუა საუკუნეები | სოფ. ძეწმანი |
| 32 | ჯამე | XIX ს. | სოფ. ძეწმანი |
| 33 | ხიდი | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. წონიარისი |
| 34 | ჯამე | XIX ს. | სოფ. წონიარისი |
| 35 | ჯამე | XIX ს. | სოფ. ჭინკაძეები |

## შუახევის მუნიციპალიტეტი

| № | ძეგლის დასახელება | აგების თარიღი | ძეგლის მდებარეობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ციხე | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. დარჩიძეები, „ყალაბონი" |
| 2 | ხიდი | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. ვარჯანაული |
| 3 | „ფურთიოს ხიდი" | XI-XII სს. | სოფ. ზამლეთი, მიდამოები |
| 4 | ციხე | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. ნიგაზეული |
| 5 | ციხე | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. ტაკიძეები |
| 6 | ციხე | გვიანი შუა საუკუნეები. | უჩამბის თემი |
| 7 | ციხე | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. ხიჭაური |

## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

| № | ძეგლის დასახელება | აგების თარიღი | ძეგლის მდებარეობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ციხე | გვიანი შუა საუკუნეები | ქ. ბათუმი, მიდამოები „თამარა" |
| 2 | გუმბათიანი ეკლესია (ბერძნული) | XIX ს. | სოფ. ახალშენი |
| 3 | მეჩეთი | XIX ს. | სოფ. მარადიდი |
| 4 | ციხე | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. მახო |
| 5 | ციხე | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. მირვეთი |
| 6 | ხიდი | XVIII ს. | სოფ. ქოქოლეთი, მდ. მაჭახელაზე |
| 7 | ხიდი | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. ცხემლარა, სოფ. ქვედა ჩხუტუნეთის მიდამოები |

## ხულოს მუნიციპალიტეტი

| № | ძეგლის დასახელება | აგების თარიღი | ძეგლის მდებარეობა |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ჯამე | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ.  ბეღლეთი |
| 2 | ციხე | შუა საუკუნეები | სოფ. დიაკონიძეები |
| 3 | ჯამე | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ.  დიდაჭარა |
| 4 | ეკლესია | განვით. შუა საუკუნეები | სოფ. ვერნები |
| 5 | "ხიხიანის ციხე" | შუა საუკუნეები | სოფ. ზედა თხილვანა |
| 6 | ხიდი | გვიანი შუა საუკუნეები | სოფ. ოქრუაშვილები |
| 7 | სხალთის ტაძარი<br>1. ტაძარი ერთნავიანი<br>2. სამრეკლო<br>3. მარანი<br>4. გალავანი<br>5. სხვა ნაგებობანი | XIII ს.<br>გვიანი შუა საუკუნეები.<br>გვიანი შუა საუკუნეები.<br>გვიანი შუა საუკუნეები. | სხალთის თემი |
| 8 | „ხიხაძირის ციხე" | შუა საუკუნეები | სოფ. ხიხაძირი |

# 6. ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკა

## ავტონომიური რესპუბლიკის მთლიანი პროდუქტის დარგობირივი სტრუქტურა:

| | მლნ. ლარი | 2004 (ფაქტიური) | 2005 (ფაქტიური) | 2006 (ფაქტიური) |
|---|---|---|---|---|
| აჭარა – სულ | მლნ. ლარი | 490,0 | 570,0 | 653.6 |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა, თევზჭერა | მლნ. ლარი | 94,4 | 101,3 | 100.5 |
| შინამეურნეობების მიერ პროდუქციის გადამუშავება | მლნ. ლარი | 26,8 | 28,7 | 31,5 |
| მრეწველობა | მლნ. ლარი | 28,7 | 31 | 41.3 |
| მშენებლობა | მლნ. ლარი | 15,8 | 31 | 37.8 |
| ვაჭრობა და ტექნიკური მომსახურება | მლნ. ლარი | 88,5 | 98,5 | 119,0 |
| ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა, კავშირგაბმულობა | მლნ. ლარი | 87,5 | 100 | 123.0 |
| ტურიზმი | მლნ. ლარი | 16,7 | 23,5 | 29,5 |
| სახელმწიფო მართვა, თავდაცვა, წესრიგის დაცვა | მლნ. ლარი | 30,0 | 30,5 | 32,0 |
| განათლება | მლნ. ლარი | 23,3 | 28,5 | 34,7 |
| ჯანმრთელობის დაცვა | მლნ. ლარი | 33,3 | 37,5 | 39,0 |
| მომსახურების სხვადასხვა სახეები | მლნ. ლარი | 44,9 | 59.5 | 65,3 |

– მხარის მთლიანი პროდუქციის ხვედრითი წონა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (დღგ-სა და აქციზის გარეშე) უდრის 5.5%-ს;

– მთლიანი რეგიონული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე შეადენს 1695 ლარს.

## 6.1. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი 2004 – 2007 წლებში

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის ნაერთი ბიუჯეტის გეგმიური მაჩვენებლები

| № | დასახელება | სულ აჭარა | მათ შორის | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | რესპუბლიკური | ქ. ბათუმი | ქობულეთი | ხელვაჩაური | ქედა | შუახევი | ხულო |
| I | სულ საგადასახადო შემოსავლები | 35,823.8 | 31,400.0 | 3,600.0 | 360.0 | 407.8 | 25.0 | 17.0 | 14.0 |
| 1 | საშემოსავლო გადასახადი | 21,900.0 | 21,900.0 | | | | | | |
| 2 | მოგების გადასახადი | 9,500.0 | 9,500.0 | | | | | | |
| 3 | ქონების გადასახადი | 4,423.8 | | 3,600.0 | 360.0 | 407.8 | 25.0 | 17.0 | 14.0 |
| II | სულ არასაგადასახადო შემოსავლები | 1,726.7 | 405.0 | 956.0 | 136.0 | 123.2 | 29.5 | 30.0 | 47.0 |
| III | კაპიტალური შემოსავლები | 20,000.0 | 20,000.0 | | | | | | |
| IV | სულ შემოსავლები | 57,550.5 | 51,805.0 | 4,556.0 | 496.0 | 531.0 | 54.5 | 47.0 | 61.0 |

### ავტონომიური რესპუბლიკის 2006 წლის ნაერთი ბიუჯეტის შესრულება

| № | დასახელება | სულ აჭარა | მათ შორის | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | რესპუბლიკური | ქ. ბათუმი | ქობულეთი | ხელვაჩაური | ქედა | შუახევი | ხულო |
| I | სულ საგადასახადო შემოსავლები | 42,775.7 | 18,025.3 | 17,863.6 | 2,616.3 | 3,453.8 | 514.9 | 322.5 | 529.0 |
| 1 | საშემოსავლო გადასახადი | 20,213.8 | 9,333.5 | 6,222.4 | 1,553.4 | 2,173.6 | 309.2 | 286.9 | 334.7 |
| 2 | მოგების გადასახადი | 15,812.9 | 8,687.9 | 5,791.9 | 325.2 | 637.9 | 172.9 | 20.6 | 176.4 |
| 3 | ქონების გადასახადი | 6,733.0 | | 5,354.9 | 688.8 | 632.8 | 25.1 | 14.9 | 16.5 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | სათამაშო ბიზნესის გადასახადი | 549.6 | | 500.0 | 43.9 | 5.8 | | | |
| 5 | სხვა გადასახადები | 16.0 | 3.9 | -5.7 | 5.1 | 3.7 | 7.8 | 0.0 | 1.3 |
| **II** | **სულ არასაგადასახადო შემოსავლები** | 3,319.8 | 1,632.6 | 836.1 | 110.3 | 563.7 | 71.5 | 52.4 | 53.1 |
| **III** | **კაპიტალური შემოსავლები** | 33,830.1 | 33,764.5 | 65.6 | | | | | |
| 1 | შემოსავლები ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან | 25,441.3 | 25,399.4 | 41.9 | | | | | |
| 2 | შემოსავლები მიწის გაყიდვიდან | 8,388.8 | 8,365.1 | 23.7 | | | | | |
| **IV** | **სულ შემოსავლები** | 80,475.1 | 53,422.4 | 18,765.2 | 2,726.7 | 4,017.5 | 586.5 | 374.9 | 582.0 |

## 2005 წლის აჭარის არ კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესრულება

(ათასი ლარი)

| № | დასახელება | სულ აჭარა | მაშ შორის | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | რესპუბლიკური | ქ. ბათუმი | ქობულეთი | ხელვაჩაური | ქედა | შუა-ხევი | ხულო |
| | | ანა-რიცხი | ანარიცხი | ანარიცხი | ანარიცხი | ანარიცხი | ანარიცხი | ანა-რიცხი | ანა-რიცხი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| **I** | საგადასახადო შემოსავლები | 31,237.3 | 12,951.4 | 12,844.1 | 1,759.6 | 2,531.2 | 503.3 | 275.8 | 371.9 |
| 1 | საშემოსავლო გადასახადი | 16,251.0 | 8,002.8 | 5,099.5 | 1,030.1 | 1,340.0 | 238.9 | 255.1 | 284.6 |
| 2 | მოგების გადასახადი | 8,938.4 | 4,964.1 | 3,102.3 | 157.7 | 550.6 | 102.6 | 10.2 | 51.0 |
| 3 | დამატებული ღირებულების გადასახადი | -10.2 | -9.0 | -1.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აქციზი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 5 | ადგილობრივი გადასახადები, მათ შორის | 5,141.0 | 52.3 | 3,976.0 | 535.4 | 533.4 | 24.5 | 8.5 | 11.0 |
| 5.1 | ქონების გადასახადი | 4,505.2 | 52.3 | 3,361.0 | 518.0 | 529.9 | 24.5 | 8.5 | 11.0 |
| 5.2 | სათამაშო ბიზნესის გადასახადი | 635.9 | 0.0 | 614.9 | 17.4 | 3.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 6 | სოციალური გადასახადი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7 | სხვა გადასახადები | 281.1 | -58.8 | 52.6 | 19.0 | 103.7 | 137.2 | 2.1 | 25.4 |
| II | არასაგადასახადო შემოსავლები | 4,111.1 | 2,431.3 | 1,288.1 | 145.0 | 79.7 | 8.5 | 123.1 | 35.3 |
| III | კაპიტალური შემოსავლები | 13,902.2 | 9,030.0 | 4,872.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სულ შემოსავალი | | 49,250.6 | 24,412.8 | 19,004.3 | 1,904.6 | 2,610.9 | 511.8 | 398.9 | 407.2 |

## 2004 წლის აჭარის არ კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესრულება

(ათასი ლარი)

| № | დასახელება | სულ აჭარა | მათ შორის | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | რესპუბლიკური | ქ. ბათუმი | ქობულეთი | ხელვაჩაური | ქედა | შუა-ხევი | ხულო |
| | | ანა-რიცხი | ანარიცხი | ანარიცხი | ანარიცხი | ანარიცხი | ანარიცხი | ანა-რიცხი | ანა-რიცხი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| I | **საგადასახო შემოსავლები** | **77,580.2** | **65,517.5** | **6,717.5** | **1,544.3** | **2,067.3** | **568.2** | **558.8** | **606.6** |
| | საგადასახადო დეპარტამენტის შემოსავლების ხაზით | 37,799.5 | 25,736.8 | 6,717.5 | 1,544.3 | 2,067.3 | 568.2 | 558.8 | 606.6 |
| | საშემოსავლო გადასახადი | 16,993.3 | 11,328.4 | 2,442.0 | 846.1 | 1,003.9 | 388.7 | 490.1 | 494.0 |
| | მოგების გადასახადი | 11,358.1 | 8,898.3 | 1,893.6 | 106.0 | 378.6 | 49.2 | 6.2 | 26.2 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დამატებული ღირებულების გადასახადი | 3,646.4 | 3,249.2 | 397.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | აქციზი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ქონების გადასახადი | 2,602.1 | 1,605.4 | 683.2 | 130.9 | 124.7 | 39.3 | 13.8 | 4.8 |
| | გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 329.1 | 20.5 | 8.8 | 52.1 | 59.3 | 74.5 | 39.0 | 75.0 |
| | გადასახადი მავნე ნივთიერებების გარემოს დაბინძურებისათვის | 1,010.7 | 445.4 | 190.9 | 148.1 | 208.7 | 9.1 | 6.1 | 2.5 |
| | გადასახადი ქონების გადაცემისათვის | 706.2 | 0.0 | 619.7 | 32.0 | 52.9 | 0.6 | 0.5 | 0.6 |
| | ფიქსირებული გადასახადი | 25.1 | 10.6 | 10.6 | 3.0 | 0.7 | 0.0 | 0.3 | 0.0 |
| | მცირე ბიზნესის გადასახადი | 1.0 | 0.1 | 0.1 | 0.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ადგილობრივი გადასახადი | 1,127.4 | 178.9 | 471.5 | 225.4 | 238.6 | 6.6 | 2.8 | 3.5 |
| II | საბაჟო დეპარტამენტის შემოსავლების ხაზით | 39,780.7 | 39,780.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | დამატებული ღირებულების გადასახადი | 25,834.3 | 25,834.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | აქციზი | 1,857.5 | 1,857.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | საბაჟო გადასახადი | 12,088.9 | 12,088.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | მსუბუქი ავტომანქანების იმპორტის ფიქსირებული გადასახადი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| III | არასაგადასახადო შემოსავლები | **1,840.9** | **1,026.8** | **634.1** | **42.9** | **115.4** | **17.8** | **0.7** | **3.3** |
| IV | კაპიტალური შემოსავლბი | **2,775.0** | **2,768.0** | **0.0** | **0.0** | **7.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | სულ კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსავალი | **82,196.0** | **69,312.3** | **7,351.6** | **1,587.2** | **2,189.7** | **585.9** | **559.5** | **609.9** |

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები 2004-2006 წლები

*(ათასი ლარი)*

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
| | ხარჯების დასახელება | 2004 | 2005 | 2006 |
| 1 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 12,689.6 | 18,421.0 | 22,070.7 |
| 2 | თავდაცვა | 113.0 | 213.4 | 378.7 |
| 3 | საზოგადოებრივი წესრიგი | 8,415.5 | 851.7 | 1,355.3 |
| 4 | განათლება | 27,332.8 | 37,503.3 | 24,616.3 |
| 5 | ჯანმრთელობის დაცვა | 4,765.4 | 8,325.3 | 6,770.1 |
| 6 | სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა | 2,110.2 | 3,093.9 | 2,857.1 |
| 7 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 9,098.8 | 15,929.5 | 28,805.1 |
| 8 | დასვენების ორგანიზაცია და საქმიანობა კულტურის, სპორტისა და რელიგიის სფეროში | 4,252.8 | 12,407.3 | 13,105.9 |
| 9 | სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი | 2,041.1 | 14.0 | 0.0 |
| 10 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 637.7 | 1,980.7 | 2,471.5 |
| 11 | სამთომომპოვებელი მრეწველობა და სასარგებლო წიაღისეულის (სათბობის გამოკლებით) გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა | 212.2 | 86.3 | 0.0 |
| 12 | ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 1,802.6 | 246.4 | 18.9 |
| 13 | ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება | 0.0 | 1,148.1 | 2,141.9 |
| 14 | სხვა მომსახურება, რომელიც არ არის დაკავშირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის ხარჯების სხვა ძირითად განყოფილებებთან | 10,485.2 | 2,417.1 | 2,226.9 |
| | **გადასახდელების (ხარჯების) ჯამი** | **83,956.9** | **102,637.9** | **106,818.3** |

## 6.2 მრეწველობა

მრეწველობის დარგებისა და შესაბამისი პროდუქციის დახასიათება (წარმოების მოცულობა 2006 წელს, მისი დინამიკა ბოლო სამი წლის განმავლობაში).

2006 წელს მრეწველობის პროდუქციის გამოშვებამ სტატისტიკური მონაცემებით 69 782,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 47,65 %-ით მეტია. სამრეწველო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 5 616 კაცი, რაც 14,7 %-ით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს.

დამატებული ღირებულების მოცულობამ მრეწველობაში 41.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემზე 33%-ით მეტია. 2006 წლის მონაცემებით სამრეწველო სექტორში დასაქმებულია 5 616 კაცი.

სამრეწველო პრდუქციის წარმოების დინამიკას ბოლო სამი წლის განმავლობაში შემდეგი სახე ჰქონდა:

| | 2004 წელი | 2005 წელი | 2006 წელი |
|---|---|---|---|
| მრეწველობა (ათ. ლარი) | 37 502 | 45 978 | 68 731 |

# სამრეწველო საწარმოთა ძირითადი მაჩვენებლები

| № | დარგის დასახელება | მცირე საწარმოები | | | საშუალო საწარმოები | | | მსხვილი საწარმოები | | | სულ მოქმედი საწარმოები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საწარმოთა რაო-ბა | დასაქმებულთა რაო-ბა | წარმოებული პროდუქცია | საწარმოთა რაო-ბა | დასაქმებულთა რაო-ბა | წარმოებული პროდუქცია | საწარმოთა რაო-ბა | დასაქმებულთა რაო-ბა | წარმოებული პროდუქცია | საწარმოთა რაო-ბა | წარმოებული პროდუქცია (ათასი ლარი) | დასაქმე-ბულთა რაოდენობა |
| | | | | | | | | | | | | 2006 წელი | 2006 წელი |
| 1 | სამთო მომპოვებელი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 4 | 54 | 413 859 | 2 | 105 | 1 385 527 | | | | 6 | 1 799 386 | 159 |
| 2 | ელექტროენერგიის, აირის და წყლის წარმოება და განაწილება | 2 | 57 | 60 682 | 3 | 295 | 1 577 724 | 2 | 1 687 | 18 588 830 | 7 | 20 227 236 | 2 039 |
| 3 | დამმუშავებელი მრეწველობა სულ | 208 | 1 161 | 13 334 952 | 27 | 856 | 12 355 812 | 7 | 1 401 | 20 934 942 | 242 | 46 625 707 | 3 418 |
| 3.1 | საკვები პროდუქტე-ბის (სასმელის ჩათვლით) და თამბაქოს წარმოება | 94 | 490 | 2 560 484 | 8 | 319 | 1 514 953 | 3 | 187 | 17 261 926 | 105 | 21 337 363 | 996 |
| 3.2 | ტექსტილისა და ტექსტილის ნაწარმის წარმოება | 8 | 64 | 274 816 | 1 | 81 | 44 970 | 2 | 1 033 | 4 676 867 | 11 | 4 996 653 | 1 178 |
| 3.3 | ტყავის, ტყავის ნაწარმისა და ფეხსაცმელის წარმოება | 2 | 17 | 61 836 | 1 | 49 | 42 617 | | | | 3 | 104 453 | 66 |
| 3.4 | ხე-ტყის დამუშავება და ხის ნაწარმის | 38 | 236 | 375 780 | 5 | 227 | 3 009 629 | | | | 43 | 3 385 409 | 463 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | წარმოება | | | | | | | | | | | | |
| 3.5 | ქიმიური მრეწველობა | 2 | 23 | 37 265 | 1 | 44 | 1 127 254 | | | | 3 | 1 164 519 | 67 |
| 3.6 | რეზინის და პლასტმასის ნაწარმის წარმოება | 13 | 96 | 1 407 052 | | | | | | | 13 | 1 407 052 | 96 |
| 3.7 | მეტალურგიული მრეწველობა და ლითონის მზა ნაწარმის წარმოება | 12 | 67 | 900 330 | | | | | | | 12 | 900 330 | 67 |
| 3.8 | მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება | 2 | 61 | 123 814 | | | | | | | 2 | 123 814 | 61 |
| 3.9 | სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობების წარმოება | 2 | 63 | 2 959 059 | 2 | 68 | 637 336 | 1 | 121 | 197 271 | 5 | 3 793 666 | 252 |
| 3.10 | სხვა დარგები | 4 | 44 | 169 481 | 3 | 68 | 282 468 | 1 | 60 | 677 923 | 8 | 1 129 871 | 172 |

## 6.3. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის დარგებისა და შესაბამისი პროდუქციის დახასიათება (წარმოების მოცულობა 2006 წელს, მისი დინამიკა ბოლო სამი წლის განმავლობაში)

### სოფლის მეურნეობის მემცენარეობის პროდუქტების წარმოების დინამიკა

(ტონა)

| | 2004 წ. | 2005 წ. | 2006 წ. |
|---|---|---|---|
| სიმინდი | 11401 | 11992 | 1150 |
| ლობიო | 246 | 372 | 93 |

| | | | |
|---|---|---|---|
| კარტოფილი | 24820 | 31747 | 27938 |
| ბოსტნეული | 7209 | 6038 | 6344 |
| თამბაქო | 367 | 317 | 242 |
| ხილი | 6054 | 10882 | 8559 |
| ციტრუსი | 20381 | 100290 | 45403 |
| ყურძენი | 435 | 859 | 1056 |
| ჩაი | 1163 | 1352 | 14 |

## სოფლის მეურნეობის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დინამიკა

| | ზომის ერთეული | 2004 წ. | 2005 წ. | 2006 წ. |
|---|---|---|---|---|
| წარმოებული ხორცი (დაკლული ხორცი) | ტონა | 2143 | 1804 | 1599 |
| რძე | ტონა | 55699 | 48401 | 42035 |
| კვერცხი | ათასი ცალი | 17320 | 14056 | 1100 |

## აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობა

| დასახელება | მუნიციპალიტეტები | 2004 წელი | 2005 წელი | 2006 წელი |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| სხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (სული) | ხელვაჩაური | 15100 | 16083 | 15310 |
| | ქობულეთი | 18021 | 18087 | 18120 |
| | ქედა | 12096 | 12109 | 10210 |
| | შუახევი | 27175 | 27175 | 27278 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ხულო | 36700 | 39100 | 39600 |
| | აჭარა | 109092 | 112554 | 110518 |
| მათ შორის: ფური (სული) | ხელვაჩაური | 11142 | 12928 | 12950 |
| | ქობულეთი | 12015 | 12079 | 11785 |
| | ქედა | 5904 | 5514 | 5100 |
| | შუახევი | 14823 | 14823 | 13133 |
| | ხულო | 22000 | 18500 | 17500 |
| | აჭარა | 65884 | 63844 | 60468 |
| ღორი (სული) | ხელვაჩაური | 135 | 187 | 210 |
| | ქობულეთი | 905 | 907 | 570 |
| | ქედა | 20 | 68 | 67 |
| | შუახევი | | | |
| | ხულო | | | |
| | აჭარა | 1060 | 1162 | 847 |
| ცხვარი და თხა (სული) | ხელვაჩაური | 2100 | 2299 | 1540 |
| | ქობულეთი | 914 | 670 | 580 |
| | ქედა | 944 | 709 | 704 |
| | შუახევი | 2520 | 2973 | 1544 |
| | ხულო | 3200 | 1575 | 1525 |
| | აჭარა | 9678 | 8226 | 5893 |
| ფრინველი (ფრთა) | ხელვაჩაური | 80000 | 80500 | 4500 |
| | ქობულეთი | 209000 | 196000 | 12510 |
| | ქედა | 31700 | 27000 | 7500 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შუახევი | 18300 | 18200 | 1825 |
| | ხულო | 26000 | 24500 | 3500 |
| | აჭარა | **365000** | **346200** | **29835** |

## წამყვანი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება 2004-2006 წელს

| რაიონი | წელი | მარცვლეული (ტონა) | ბოსტნეული (ტონა) | კარტოფილი (ტონა) | ხილი (ტონა) | ციტრუსი (ტონა) | ვენახი (ტონა) | ჩაი (ტონა) | ხორცის წარმოება (ტონა) | რძის წარმოება (ტონა) | კვერცხი (ათასი ცალი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 2004 | 1837 | 1350 | 400 | 1640 | 5281 | 60 | 1154 | 470,0 | 7435,0 | 6210,0 |
| | 2005 | 2895 | 1360 | 400 | 2108 | 56500 | 65 | 1320 | 474,0 | 7741,0 | 6243,0 |
| | 2006 | 1090 | 1487 | 550 | 2635 | 25903 | 260 | | 465,0 | 7738,0 | 238,0 |
| ხელვაჩაური | 2004 | 2019 | 850 | 220 | 900 | 15100 | 70 | | 469,4 | 17058,0 | 7000,0 |
| | 2005 | 1721 | 837 | 335 | 2140 | 43790 | 216 | 32 | 144,0 | 11518,0 | 4800,0 |
| | 2006 | 1092,7 | 333,1 | 590 | 3469,7 | 19500 | 317 | 13,7 | 424,6 | 13385,0 | 126,0 |
| ქედა | 2004 | 3398 | 1209 | 1100 | 690 | – | 190 | – | 114,0 | 3210.0 | 560,0 |
| | 2005 | 3310 | 1091 | 1112 | 710 | – | 462 | – | 96,0 | 2996,0 | 413,0 |
| | 2006 | 3113 | 2074 | 1960 | 1042 | – | 340 | – | 217,0 | 2280,0 | 310,0 |
| შუახევი | 2004 | 2740 | 600 | 3000 | 1624 | – | 90 | – | 490,0 | 11896,0 | 1100,0 |
| | 2005 | 2733 | 600 | 3600 | 1624 | – | 90 | – | 490,0 | 11896,0 | 1100,0 |
| | 2006 | 2407 | 674,3 | 2838 | 476 | – | 31 | – | 475,0 | 11980,3 | 53,9 |
| ხულო | 2004 | 1653 | 3200 | 20100 | 1200 | – | 25 | – | 600,0 | 16100,0 | 2450,0 |
| | 2005 | 1705 | 2150 | 26300 | 4300 | – | 26 | – | 600,0 | 14250,0 | 1500,0 |
| | 2006 | 1235 | 1650 | 22000 | – | – | 70 | – | 790,0 | 12410,0 | 24,0 |
| სულ აჭარაში | 2004 | 11647 | 7209 | 24820 | 6054 | 20381 | 435 | 1154 | 2143,4 | 55699,0 | 17320,0 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2005 | 12364 | 6038 | 31747 | 10882 | 100290 | 859 | 1352 | 1804,0 | 48401,0 | 14056,0 |
| | 2006 | 8937,7 | 6218,4 | 27938 | 76227 | 45403 | 1018 | 13,7 | 2371,0 | 47793,3 | 751,9 |

## სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობა სახეების მიხედვით

| | |
|---|---|
| სავარგულები სულ: | 72 862 |
| მათ შორის: | |
| სახნავი | 10 309 |
| ხეხილის ბაღი | 762 |
| ვენახი | 88 |
| ჩაი | 5 618 |
| ციტრუსი | 7 767 |
| თუთა | 22 |
| დაფნა | 41 |
| ტუნგი | 364 |
| კაკლოვანი | 3 |
| სხვა დანარჩენი | 1 234 |
| ნასვენი | 1 736 |
| სათიბი | 7 159 |
| საძოვარი | 37 759 |

სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისების მდგომარეობა (დინამიკა 2004-06 წლებში) – აღნიშნულ წლებში ახალი მიწების ათვისება არ მომხდარა.

**სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზების მდგომარეობა 2007 წლის 1 იანვრისათვის (მუნიციპალიტეტების მიხედვით)**

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად (მუხლი 2, პუნქტი 3) პრივატიზებას არ ექვემდებარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეფორმის ფონდისათვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. გარდა ამისა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან პრივატიზებას ექვემდებარება 4 350 ათასი ჰა

აქედან:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში – 236 ჰა;

ქობულეთის მუნიციპალიტეტში – 2 555 ჰა;

შუახევის მუნიციპალიტეტში – 379 ჰა;

ხულოს მუნიციპალიტეტში – 1 180 ჰა.

**მცირემიწიანი (1,25 ჰა-მდე ფართობი) გლეხების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით სულ – 59 865**

აქედან:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში – 23 294;

ქობულეთის მუნიციპალიტეტში – 18 532;

ქედის მუნიციპალიტეტში – 4 597;

შუახევის მუნიციპალიტეტში – 5 858;

ხულოს მუნიციპალიტეტში – 7 584.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფერმერული მეურნეობები, ფერმერთა ასოციაციები და იურიდიული პირები

| № | დასახელება | სად მდებარეობს | მეპატრონე | რა საქმიანობას ეწევა |
|---|---|---|---|---|
| 1 | შპს „სანერგე მეურნეობა“ | ხელვაჩაურის რაიონში | თ. ცინცაძე | ნერგების გამოყვანა |
| 2 | ი.მ „ავთანდილ მესხიძე“ | ქობულეთის რაიონში | ა. მესხიძე | ნერგების გამოყვანა |
| 3 | ი.მ „თ. ზოიძე“ | შუახევის რაიონში | თ. ზოიძე | ნერგების გამოყვანა |
| 4 | შპს „თხილ-კაკალი“ | ხელვაჩაურის რაიონში | ქ. მანველიძე | ნერგების გამოყვანა |
| 5 | შპს „ადლია-2000“ | ხელვაჩაურის რაიონში | უ. აბესლამიძე | მეცხოველეობა (22 ფური) |
| 6 | შპს „მემამულეთა კავშირი“ | ხელვაჩაურის რაიონში | შ. აბესლამიძე | მეცხოველეობა (30 ფური) |
| 7 | ინდ მეწარმე „თედორაძე“ | ხელვაჩაურის რაიონში | ი. თედორაძე | მეცხოველეობა (30 ფური) |
| 8 | ინდ მეწარმე „ზ. კვაჭაძე“ | ქობულეთის რაიონში | ზ. კვაჭაძე | მსხვილფეხა რქოსან პირუტყვის ფერმა (45 სული) |
| 9 | ინდ მეწარმე „ა. გოგიტიძე“ | ქობულეთის რაიონში | ა. გოგიტიძე | მსხვილფეხა რქოსან პირუტყვის ფერმა (56 სული) |
| 10 | ფერმერი ფ. მეგრელიძე | ქობულეთის რაიონში | ფ. მეგრელიძე | 30 ჰა-ზე გაშენებულია თხილის პლანტაცია, 20 ჰა-ზე სახნავი, აქვს საქონლის ფერმა |
| 11 | ინდ მეწარმე „შერვაშიძე“ | ქედის რაიონში | ნ. შერვაშიძე | მევენახეობა 5 ჰა |

2006 წლის ნოემბრიდან ხელვაჩაურის რაიონის სს „ქარხანა ნარინჯის“ ბაზაზე ამოქმედდა შპს „ხილის კომპანია ნარინჯი“. ქარხანა აღჭურვილია იტალიური წარმოების ხილის დაფასოება-დაყალიბება-გასანთვლის ტექნოლოგიური ხაზით, რომლის საწარმო სიმძლავრე შეადგენს 10-12 ტ/სთ.

მიმდინარე წლისათვის დაგეგმილია ციტრუსისა და ხილის წვენების, კონცენტრატების, ჯემებისა და მურაბების გამოშვება.

2006 წლის 13 დეკემბერს ქ. ქობულეთში საექპლუატაციოდ გადაეცა ციტრუსის გადამმუშავებელი კომბინატი შპს „ქართული პროდუქტი“. საწარმოში დამონტაჟებულია იტალიური ფირმა „ფენკოს“ დანადგარები, რომლის საწამოო სიმძლავრე შეადგენს 35 ტ/სთ. გათვალისწინებულია ციტრუსოვანთა წვენის, პიურეს, ეთეროვანი ზეთის, კომფიუტერების და სხვა პროდუქტების გამოშვება.

შპს „ციტრო“ – მინისაამქრო განთავსებულია სს „ბათუმის ქიმიური ქარხნის“ შენობაში, რომელიც ძირითადად უშვებს წვენებს. მომავალში გათვალისწინებულია საამქროს გაფართოება-რეკონტრუქცია.

რაც შეეხება შპს „ქედის საკონსერვო ქარხანასა“ და შპს „ქედურს“, ორივე ქარხანა გაყიდვის რეჟიმშია.

აჭარის ავტონომიურ რესპულიკაში მოქმედებს 5 წისქვილკომბინტი: შპს „ბასა“, შპს „ბარაქა“, „იმპერიალი 2000“, შპს „ორცვა„ და შპს „ურეხი“. 4 მსხვილი პურის ქარხანა: შპს „ხელვაჩზურის პურის ქარხანა“, შპს „პურის სახლი“, შპს „ლემა“, შპს „ქვის პური“ და ათეულობით მცირე საწარმოები.

ქ. ბათუმში ფუნქციონირებს შპს „ბათუმის რძის ქარხანა“ და შპს “ლუდი ბათუმური“.

2006 წელს ჩაის ნედლეულის გადამუშავებას აწარმოებდა მხოლოდ შპს „შამბალო-ჩაქვი“, შპს „ემირი“ და შპს „იაგო“, რომლებმაც გადაამუშავეს და მონღოლეთის რესპუბლიკას მიაწოდეს 550 ტონამდე აგურა ჩაი.

გარდა ამისა, შავი ჩაის წარმოება შესაძლებელია დაიწყოს შპს „თეთროსნის“, შპს „გონიოს ჩაის“, სს „ქობულეთის ჩაის“ საწარმოებში, რადგანაც ეს საწარმოების გამართულ მდგომარეობაშია და მიმდინარე სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების შემდეგ შესაძლებელია მაღალხარისხოვანის ჩაის პროდუქტის მიღება.

**სოფლის მეურნეობის მომსახურე აგროცენტრების, სერვის-ცენტრების რაოდენობა და მათი მასალებითა და ტექნიკით აღჭურვილობის დონე.**

ამჟამად რეგიონში ფუნქციონირებს ერთი აგროსერვისცენტრი შპს „ფერმერთა-სახლი“, რომელიც რაიონების სოფლის მოსახლეობას აწვდის სხვადასხვა სახის მინერალურ სასუქებს და მცენარეთა მავნებელ-დაავადებების საწინააღმდეგო შხამქიმიკატებს.

ფერმერთა სახლს აქვს შვიდი ერთეული მობილური ტექნიკა, რომლითაც მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად აწარმოებენ მცენარეთა მავნებელ-დაავადებების საწინაღმდეგო ღონისძიებებს, ტენდერის გზით მონაწილეობენ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელებაში. 2007 წლისათვის „ფერმერთა სახლს“ რეგიონში შემოტანილი აქვს და შემოიტანს 180 ტონა რთულ მინერალურ სასუქს, 250 ტონა სუპერფოსფატს, 65 ტონა კალიუმის მარილს და 6000 ტონა სხვადასხვა შხამქიმიკატებს. შეუზღუდავად აქვთ ვეტერინარული და მეფუტკრეობისათვის საჭირო პრეპარატები.

## 6.4. ავტონომიური რესპუბლიკის სატრანსპორტო სისტემა

### გზები

| № | გზის კატეგორია (კმ) | ქალაქი | ქობულეთი | ხელვაჩაური | ქედა | შუახევი | ხულო | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები | 0 | 273 | 198 | 182 | 208 | 175 | 1035 |
| 2 | საერთაშორისო მნიშვნელობის გზები (ჩოლოქი სარფის) | | | | | | | 50 |
| 3 | შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზები | 0 | 51 | 11 | 15 | 70 | 38 | 184 |
| 4 | შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზები (ბათუმი-ხულო-ახალციხის გზა) | | | | | | | 108 |
| სულ | | 0 | 324 | 209 | 197 | 278 | 213 | 1377 |

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სულ 1377 კმ სიგრძის საავტომობილო გზაა. მათ შორის: ქობულეთის რაიონში – 324 კმ, ხელვაჩაურის რაიონში – 209 კმ, ქედის რაიონში – 197 კმ, შუახევის რაიონში – 278 კმ და ხულოს რაიონში – 213 კმ.

აჭარის ტერიტორიაზე საავტომობილო გზა შედგება საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი (სასოფლო) მნიშვნელობის მონაკვეთებისაგან, კერძოდ:

– საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო მაგისტრალი ჩოლოქი-სარფის მონაკვეთს მოიცავს, ხელვაჩაურისა და ქობულეთის რაიონებზე გადის და 50 კმ სიგრძისაა;

– შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის სიგრძე 184 კმ-ია და აჭარის ყველა რაიონს ფარავს;

– დანარჩენი 1035 კმ სიგრძის საავტომობილო გზა ადგილობრივი (სასოფლო) მნიშვნელობისაა.

– შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზები (ბათუმი ხულო ახალციხის გზა) 108 კმ შეადგენს.

**აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სამარშრუტო ხაზები**

| დასახელება | მარშრუტის სახეობა | | | |
|---|---|---|---|---|
| | შიდაგადაზიდვები | საგარეუბნო | საქალაქთაშორისო | საერთაშორისო |
| ქ. ბათუმი | 27 | 43 | 16 | 3 |
| ქობულეთის მუნიციპალიტეტი | 20 | 18 | 50 | – |
| ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | – | 39 | – | – |
| ქედის მუნიციპალიტეტი | – | 35 | – | – |
| შუახევის მუნიციპალიტეტი | – | 51 | – | – |
| ხულოს მუნიციპალიტეტი | 10 | 42 | 5 | – |
| სულ | 57 | 228 | 71 | 3 |

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო პარკი

| წელი | საავტომობილო | მათ შორის | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | სატვირთო | მსუბუქი | ავტობუსი | სხვადასხვა |
| 2004 | 52 737 | 8 611 | 37 899 | 5 260 | 967 |
| 2005 | 54 954 | 8 005 | 38 934 | 5 198 | 2 817 |
| 2006 | 55 859 | 8 113 | 39 521 | 5 241 | 2 984 |

## სარკინიგზო ტრანსპორტი

სამტრედია-ბათუმის უბნის სიგრძე შეადგენს 104 კმ-ს, აქედან საქართველოს რკინიგზის აჭარის ყოფილი სამმართველოს ფარგლებში იყო – 35 კმ. უბანი მთლიანად ერთლიანდაგიანია. მაქსიმალური ქანობი არ აღემატება 10%-ს. მე-6 - მე-19 კმ-ზე რკინიგზა გადის უშუალოდ ზღვის სანაპიროზე, სადაც სანაპირო გამაგრებულია სხვადასხვა კონსტრუქციების ნაგებობებით

| დასახელება | ზომის ერთეული | 2003 | 2004 | 2005 |
|---|---|---|---|---|
| ტვირთბრუნვა | ათასი ტონა/კმ | 276928.1 | 245277.3 | 331355.3 |
| ტვირთის გადატანა | ათასი ტონა | 677.1 | 599.7 | 10732.5 |
| მგზავრი | ათასი მგზ | 162.9 | 273.5 | 225.9 |
| მგზავრთბრუნვა | ათასი მგზ/კმ | 57005.5 | 95741.1 | 79065.0 |

2005 წელს აჭარის არ-ის სარკინიგზო ორგანიზაციებში დასაქმებული იყო 875 კაცი, მათი ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 338 ლარს.

2006 წელს ტრანსპორტის დარგში შექმნილი პროდუქციის მოცულობა შეადგენდა 6 005 912 ლარს, 2005 წელს – 3 928 100 ლარს. ზრდის ტემპი 52,90 %-ია. 2006 წელს ფუნქციონირებდა 55 სატრანსპორტო საწარმო, 2005 წელს – 20. ზრდის ტემპი – 175 %-ია.

## საავტომობილო ტრანსპორტი

| დასახელება | ზომის ერთეული | 2003 | 2004 | 2005 |
|---|---|---|---|---|
| ტვირთის გადატანა | ათ. თონა | 3.4 | 2.1 | – |
| ტვირთბრუნვა | ათ.ტ./კმ | 617.1 | 301.3 | – |
| მგზავრთა გადაყვანა | ათ.მგზ | 4711.3 | 5034.9 | 7651,3 |
| მგზავრთბრუნვა | ათ./მგზ/კმ | 48859.6 | 96347.9 | 60460,7 |

## საზღვაო ტრანსპორტი

| | ზომის ერთეული | 2003 | 2004 | 2005 | 2006 |
|---|---|---|---|---|---|
| ტვირთის გადატანა | ათ./ტონა | 23.4 | 28.7 | 23.9 | |
| ტვირთბრუნვა | ათ. ტონამილი | 91500.0 | 73050.0 | 68970.0 | |
| შემოსავლები | მლნ. ლარი | 2.6 | 2.5 | 2.0 | |

შენიშვნა: საზღვაო ტრანსპორტის 2006 წლის მონაცემები წარმოადგენს ინვესტორის კერძო საკუთრებას და იგი გამოქვეყნდება სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

| დასახელება | ზომის ერთეული | 2006 წ. | 2005 წ. | ზრდის ტემპი %-ში |
|---|---|---|---|---|
| ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სასაწყობო მეურნეობა სულ | ლარი | 152 760 846 | 118 162 100 | 129.28% |
| აქედან ტრანსპორტი | | 6 005 912 | 3 928 100 | 152.90% |
| აქედან არასახელმწიფო სექტორი | | | | |
| საწარმოთა რაოდენობა | ერთეული | 55 | 20 | 275.00% |
| კავშირგაბმულობა | ლარი | 4 344 713 | 4 408 200 | 98.56% |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მ.შ. არასახელმწიფო სექტორი | – | | | |
| საწარმოთა რაოდენობა | ერთეული | 14 | 12 | 116.67% |

## 6.5. ენერგეტიკა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 7874,06 კმ საერთო სიგრძის 110; 35; 10; 6; 0.4 კვ ძაბვის საჰაერო და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზები,.

| № | დასახელება | საჰაერო და საკაბელო ელ. გადამცემი ხაზი ძაბვის მიხედვით | | | | | | | | | სულ კმ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 110კვ საჰაერო კმ | 35 კვ | | 10 კვ | | 6 კვ | | 0,4 კვ | | |
| | | | საჰაერო კმ | საკაბელო კმ | საჰაერო კმ | საკაბელო კმ | საჰაერო კმ | საკაბელო კმ | საჰაერო კმ | საკაბელო კმ | |
| 1 | აჭარა | 81.12 | 235.94 | 20 | – | – | – | – | – | – | 337.06 |
| 2 | ბათუმის | – | – | – | – | – | 12,3 | 179.3 | 65,9 | 137,4 | 394.9 |
| 3 | ქობულეთის | – | – | – | 312 | 17.8 | – | – | 2320 | 23.4 | 2673.2 |
| 4 | ხელვაჩაურის | – | – | – | 331.8 | 7.2 | – | – | 1237 | – | 1576 |
| 5 | ქედის | – | – | – | 139 | – | – | – | 683 | – | 822 |
| 6 | შუახევის | – | – | – | 229 | – | – | – | 750 | 0,4 | 979.4 |
| 7 | ხულოს | – | – | – | 261.5 | – | – | – | 830 | – | 1091.5 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ აჭარა | 81.12 | 235.94 | 20 | 1273.3 | 25.0 | 12,3 | 179.3 | 5885.9 | 161.2 | 7874.06 |

გარდა ამისა, აჭარის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ელექტროსისტემის ბალანსზე რიცხული 220 კვ ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზები „პალიასტომი – I" და „პალიასტომი – II", რომლებიც ჩართულია შესაბამისად ქ/ს „მენჯიდან" (განლაგებულია სენაკის ტერიტორიაზე) და ქ/ს „ვარდნილჰესიდან", (განლაგებულია გალის რაიონის ტერიტორიაზე) 110 კვ ძაბვის ე.გ.ხ. „ანასეული" და „ჩაქვი", რომლებიც დაკავშირებულია ქ/ს „ოზურგეთთან" (ოზურგეთის რაიონის ტერიტორია) და საქრუსენერგოს ბალანსზე რიცხული 220 კვ ძაბვის ე.გ.ხ. „აჭარა", რომელიც დაკავშირებულია ქ/ს „ხოფასთან" (თურქეთის ტერიტორია). აღნიშნული მაღალი ძაბვის ე.გ. ხაზებით ხორციელდება აჭარის რეგიონის ელენერგიით მომარაგება. 220 კვ ძაბვის ე.გ. ხაზები თავს იყრის 220/110/35/10 კვ ძაბვის ქ/ს „დიდ ბათუმში", რომლის სიმძლავრეა 250 მეგავოლტამპერი, ამ ქვესადგურიდან ხორციელდება აჭარის ტერიტორიაზე ელ. ენერგიის განაწილება.

აჭარის რეგიონს ემსახურება 110/35/10-6 კვ ძაბვის 46 ერთეული მაღალი ძაბვის დამწევი ქვესადგური რაიონებისა და კუთვნილების მიხედვით მათი რაოდენობაა:

| № | ადმინისტრაციული ერთეული | ქვესადგურების რაოდენობა | | | | აჭარის ენერგოკომპა-ნიის ბალანსზე რიცხული | საუწყებო ქვესადგურების კუთვნილება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 220კვ | 110კვ | 35კვ | სულ | | |
| 1 | ბათუმი | – | 4 | 3 | 7 | 6 | ნავთობის ტერმინალის |
| 2 | ქობულეთი | – | 3 | 6 | 9 | 8 | ქობულ. წვენების ქარხნის |
| 3 | ხელვაჩაური | 1 | 1 | 8 | 10 | 9 | ელ. სისტემის |
| 4 | ქედა | – | 1 | 6 | 7 | 6 | აწ-ჰესის |
| 5 | შუახევი | – | – | 5 | 5 | 4 | სანალია ჰესის |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | ხულო | – | 1 | 7 | 8 | 8 | |
| | სულ | 1 | 10 | 35 | 46 | 41 | |

ზემოაღნიშნული ენერგოკომპანიების ბალანსზე რიცხული ქვესადგურების ჯამური სიმძლავრე შეადგენს 393,23 მეგავოლტამპერს, სხვა უწყებათა ბალანსზე რიცხული ქვესადგურების ჯამური სიმძლავრე - 286,2 მეგავოლტამპერს.

უშუალოდ მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება 10-6/04 კვ ძაბვის სატრანსფორმატორო და კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურებით, რომლებიც განლაგებულია ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში. რაიონებისა და კუთვნილების მიხედვით მათი რაოდენობაა:

| № | ადმინისტრაციული ერთეული | სატრანსფორმატორო ქ/ს-რებისა და კომპლექტ. სატრ. პუნქტების რაოდენობა | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | ენერგოკომპანიის ბალანსზე რიცხული | სხვა უწყებათა ბალნსზე რიცხული | სულ | |
| 1 | ბათუმი | 234 | 45 | 279 | |
| 2 | ქობულეთი | 345 | 116 | 461 | |
| 3 | ხელვაჩაური | 208 | 212 | 420 | |
| 4 | ქედა | 116 | 32 | 148 | |
| 5 | შუახევი | 114 | 25 | 139 | |
| 6 | ხულო | 123 | 57 | 180 | |
| სულ | | 1140 | 487 | 1627 | |

2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აჭარის ენერგოკომპანია ელექტროენერგიას აწვდიდა 107 177 აბონენტს. აქედან 97 644 აბონენტი არის მოსახლეობა, ხოლო 9 533 აბონენტი კომერციული და საბიუჯეტო სექტორი. მომხმარებლები რაიონების მიხედვით განაწილებულია შემდეგნაირად:

| № | ადმინისტრაციული ერთეული | აბონენტთა რაოდენობა | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| | | მოსახლეობა | კომერციული | სულ | |
| 1 | ბათუმი | 38317 | 3875 | 42192 | |
| 2 | ქობულეთი | 22700 | 1750 | 24450 | |
| 3 | ხელვაჩაური | 18882 | 1277 | 20159 | |
| 4 | ქედა | 4912 | 361 | 5273 | |
| 5 | შუახევი | 4195 | 905 | 5100 | |
| 6 | ხულო | 8638 | 1365 | 10003 | |
| სულ | | **97644** | **9533** | **107177** | |

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულია 5 მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური:

| № | ჰესის დასახელება | მისამართი | დადგმული სიმძლავრე მვა | კუთვნილება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აწ-ჰესი | ქედის რ-ნი ს. მახუნცეთი | 16 | კერძო | მუშაობს |
| 2 | მაჭახელა ჰესი | ხელვაჩაურის რ-ნი ს. მაჭახელა | 1.43 | კერძო | მუშაობს |
| 3 | სანალია ჰესი | შუახევის რ-ნი ს.მახალაკიძეები | 3.4 | მუნიციპალური | გაჩერებულია |
| 4 | აჭი ჰესი | ქობულეთის რ-ნი ს. აჭი | 1.3 | სახელმწიფო | მუშაობს ერთი გენერატორი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 5 | კინკიშა ჰესი | ქობულეთის რ-ნი ს. კვირიკე | 0.740 | სახელმწიფო | გაჩერებულია |

აჭარის ენერგოკომპანიის მიერ 2006 წლის განმავლობაში მიღებული, მომხმარებლებისათვის გაწერილი ელექტროენერგიის რაოდენობა, ღირებულება და ამოღებული თანხა ფილიალების მიხედვით მოცემულია №1 დანართში (თან ერთვის).

ქ. ბათუმში, ხელვაჩაურსა და ქობულეთის რაიონების ზღვისპირა ზოლში მიმდინარე სერიოზული ბიზნესპროექტების, ქალაქების ინფრასტრუქტურის, საკურორტო ბიზნესისა და ბინათმშენებლობის პროექტების განხორციელება ზრდის მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე. გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილების, მომხმარებლის ელექტროენერგიით უწყვეტი და იმედიანი მომარაგების მიზნით აჭარის ენერგოკომპანია აწარმოებს ახალი ობიექტების მშენებლობას. ამჟამად მიმდინარეობს 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ქ/ს „ბათუმი – II“-დან აჭარის ენერგოკომპანიის ადმინისტრაციულ შენობამდე, სადაც აშენდება 35/6 კვ ქვესადგური, რომელიც 35 კვ ძაბვის საკაბელო ხაზით დაუკავშირდება ქ/ს „ბათუმ – III“-ს, რითაც აღუდგება ორმხრივი კვება ქ/ს „ბათუმ – III“-ს, საიდანაც ხორციელდება ქალაქის ცენტრალური ნაწილის ელექტროენერგიით მომარაგება. რაც შეეხება სხვა სამუშაებს, ინვესტორის მოსვლამდე ყველა სახის სამუშაოები, გარდა ავარიულისა, გაჩერებულია.

# 6.6. ექსპორტ-იმპორტი

## ექსპორტი ქვეყნებში

| ქვეყანა | 2004 წელი | | 2005 წელი | | 2006 წელი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა ტონა | ღირებულება ათასი ლარი | რაოდენობა ტონა | ღირებულება ათასი ლარი | რაოდენობა ტონა | ღირებულება ათასი ლარი |
| იტალია | 2545,55 | 1136,88 | 44,8 | 13,6 | 6,5 | 2,9 |
| სომხეთი | 24,19 | 39,31 | 26,17 | 25,71 | 252,21 | 143,81 |
| უკრაინა | 3 364,56 | 1 064,91 | 5 299,54 | 1 612,68 | 6 914,39 | 3 307,08 |
| არაბეთის გაერთიანებული ემირატები | 27,00 | 5,05 | 122.61 | 33,02 | 242,08 | 67,89 |
| აშშ | 1 627,92 | 717,04 | – | – | – | – |
| აზერბაიჯანი | 71,94 | 26,19 | 38,27 | 16,66 | 312,22 | 274,38 |
| რუსეთი | 2 087,80 | 1 309,12 | 611,74 | 294,17 | 4 469,04 | 370,61 |
| თურქეთი | 106 256,69 | 21 601,31 | 64 241,34 | 13 706,72 | 72 001,95 | 19 223,74 |
| მონღოლეთი | 1 214,19 | 820,21 | 706,01 | 461,43 | 711,50 | 458,44 |
| ნიდერლანდები | 6 651,83 | 850,22 | – | – | – | – |
| სხვა | 8 979,33 | 2 687,76 | 3 607,93 | 2 386,00 | 488,11 | 215,15 |
| **სულ** | **132 851,00** | **30 258,00** | **74 531** | **18 566** | **85 398** | **24 064** |

## ექსპორტის რეჟიმით განბაჟებული ძირითადი სახის საქონელი

| საქონლის დასახელება | 2004 წელი | | 2005 წელი | | 2006 წელი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა ტონა | ღირებულება ათასი ლარი | რაოდენობა ტონა | ღირებულება ათასი ლარი | რაოდენობა ტონა | ღირებულება ათასი ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხე-ტყე | 32667 | 5236 | 28231,4 | 519,6 | 20190 | 4212 |
| ციტრუსი | 4805,4 | 1619 | 5244 | 1478 | 358,3 | 1025 |
| ჩაი | 1434,4 | 981 | 874,8 | 553 | 828,3 | 544 |
| თხილი | 25 | 12 | 141 | 512 | 110,4 | 904 |
| შავი ლითონების ჯამი | 78652 | 14100 | 34516 | 8030 | 51411,4 | 13115 |
| ალუმინის, დურალუმინის პროფ, ფილები, სხეულები, ჯართი | 408 | 635 | 38,5 | 76 | 263,1 | 646 |
| მანქანა დანადგარები, ჩარხები ძრავები | 694,6 | 1939 | 84,3 | 51 | 160 | 227 |
| ნავთობპროდუქტები | 12712,3 | 3480 | 3125,8 | 1862 | – | – |
| ელექტროსაქონელი | 86,1 | 358 | – | – | – | – |
| ტანსაცმელი | 13,4 | 132 | – | – | 3,5 | 51 |
| ყვავილი მიმოსა | – | – | 4,3 | 7 | 7,7 | 14 |
| სხვა | 721,2 | 498 | 1092,4 | 4928,7 | 4801,5 | 1491 |

## იმპორტი ქვეყნებიდან

| ქვეყანა | 2004 წელი | | 2005 წელი | | 2006 წელი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა ტონა | ღირებულება ათასი ლარი | რაოდენობა ტონა | ღირებულება ათასი ლარი | რაოდენობა ტონა | ღირებულება ათასი ლარი |
| ბულგარეთი | 1 477,80 | 1 593,93 | 1 329,31 | 2 257,93 | 1 021,45 | 2 787,89 |
| ბრაზილია | 28 080,58 | 11 283,79 | 3 127,02 | 1 720,16 | – | – |
| ბელგია | 1,25 | 7,73 | 261,68 | 1 228,83 | 634,78 | 1 855,46 |
| ისლანდია | 47,05 | 5 907,45 | – | – | – | – |
| ირანი | 478,45 | 361,23 | 669,58 | 697,34 | 935,69 | 1 431,32 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სომხეთი | 15 014,98 | 1 255,75 | 21 848,50 | 1 878,10 | 21 606,77 | 2 337,65 |
| ვირჯინიის კუნძულები | 591,31 | 6 210,27 | – | – | – | – |
| უკრაინა | 22 876,78 | 15 690,77 | 22 750,30 | 14 537,50 | 23 455,29 | 18 150,53 |
| არაბეთის გარეთიანებული ემირატები | 1 156,95 | 1 291,86 | 1 058,60 | 2 731,03 | 215,53 | 1 435,29 |
| აშშ | 219,22 | 874,95 | 146,43 | 903,92 | 276,06 | 2 227,07 |
| ზერბაიჯანი | 17 174,15 | 7 970,39 | 5 546,50 | 2 433,78 | 3 798,04 | 3 027,91 |
| რუსეთი | 684,00 | 4 889,72 | 5 603,24 | 2 398,19 | 13 946,21 | 5 086,75 |
| რუმინეთი | 4 709,15 | 3 454,01 | 203,00 | 160,01 | 31,62 | 88,19 |
| თურქეთი | 166 104,64 | 81 628,45 | 100 546,47 | 61 306,88 | 83 524,08 | 70 682,14 |
| გერმანია | 350,30 | 1 871,50 | 2 578,18 | 7 601,56 | 3 408,41 | 13 058,92 |
| ჩინეთი | 85,92 | 170,66 | 280,55 | 1 108,63 | 586,53 | 3 271,50 |
| ნიდერლანდები | 66,50 | 77,59 | 436,58 | 1 339,41 | 843,90 | 2 627,48 |
| სირია | 562,70 | 445,60 | 2 414,61 | 3 471,63 | 686,98 | 988,80 |
| სხვა | 6 538,27 | 5 475,35 | 2 479,45 | 3 895,11 | 2644,2 | 5 090,29 |
| **სულ** | **266 220,00** | **150 461,00** | **171 077,00** | **109 510,00** | **157 615,54** | **134 147,19** |

## იმპორტის რეჟიმით განბაჟებული ძირითადი სახის საქონელი

| საქონლის დასახელება | 2004 წელი | | 2005 წელი | | 2006 წელი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა ტონა | ღირებულება ათასი ლარი | რაოდენობა ტონა | ღირებულება ათასი ლარი | რაოდენობა ტონა | ღირებულება ათასი ლარი |
| ფქვილი | 102 970 | 40 077 | 39140 | 14759 | 11 774,00 | 5 603 |
| შაქარი | 39 954 | 16 634 | 4103 | 2159 | – | – |
| ნავთობპროდუქტები | 20 167 | 13 865 | 3673 | 2221 | 3 574,00 | 2 788 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი | – | – | 4920 | 1257 | 20546 | 6 613 |
| ზეთები და ცხიმები | 8 560 | 7 983 | 4659 | 5220 | 5349 | 7 132 |
| კვერცხი | 2 134 | 2 962 | 1840 | 2468 | – | – |
| სარეცხი საშუალებები | 3 013 | 2 263 | 3421 | 3011 | 1567 | 2 773 |
| ჰიგიენური ნაწარმი | 587 | 836 | 701 | 1141 | 425 | 1 331 |
| კარაქი | 522 | 1 170 | 870 | 1998 | 834 | 1 886 |
| კარტოფილი | 251 | 67 | 2760 | 565 | 13090 | 4 011 |
| ცემენტი, კირი თაბაშირი | 27 135 | 1 916 | 29122 | 2833 | 28223 | 3 535 |
| უცხოეთში ნაყიდი ავტოტრანსპორტი | 256 | 1 992 | 3342 | 13753 | 4540 | 19 430 |
| მანქანა-დანადგარები, ჩარხები ძრავები და სხვა | 802 | 15 480 | 600 | 1739 | 858 | 2 515 |
| შავი ლითონის ნაწარმი | 1 084 | 962 | 685 | 693 | 905 | 1 436 |
| ფოლადის ნაწარმი | 2 920 | 1 921 | 2614 | 2104 | 2073 | 2 354 |
| პლასტამასის ნაწარმი | 3 071 | 2 730 | 3054 | 3749 | 2901 | 5 934 |
| ელექტრო საქონელი | 772 | 1 864 | 779 | 1466 | 968 | 2 861 |
| შოკოლადი და მისი ნაწარმი | 1 813 | 4 053 | 2081 | 5046 | 2025 | 7 867 |
| ორცხობილა და ფუნთუშა | 2 410 | 2 061 | 2202 | 1972 | 1693 | 2 491 |
| მაკარონი | 3 300 | 2 033 | 3791 | 2148 | 3154 | 1 962 |
| ფეხსაცმელი | 522 | 532 | 1193 | 2043 | 817 | 3 114 |
| საღეჭი რეზინი | 562 | 644 | 533 | 744 | 382 | 1 085 |
| ტანსაცმელი | 29 | 200 | 855 | 2103 | 92 | 1 206 |
| სხვა საქონელი | 43 386 | 28 216 | 54 139,00 | 34 318,00 | 51 793,00 | 46 132 |

## 6.7 ვაჭრობა

### აგრარული ბაზრებისა და ბაზრობების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

| საქმიანობის დასახელება | 2004 წელი | 2005 წელი |
|---|---|---|
| აგრარული ბაზრებისა და ბაზრობების რაოდენობა | 17 | 16 |
| აქედან: | | |
| არასახელმწიფო სექტორი | 10 | 9 |
| სავაჭრო ადგილები | 4871 | 3224 |
| საცალო სავაჭრო ბრუნვა ბაზრობებზე (ათასი ლარი) | 117000 | 134400 |

## 6.8. სასტუმროების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

### აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სასტუმროებისა და რესტორნების ძირითადი მონაცემები

| № | საქმიანობის დასახელება | 2004 წელი | 2005 წელი | 2006 წელი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სასტუმროების რაოდენობა | 36 | 59 | 70 | |
| | აქედან: არასახელმწიფო | 28 | 48 | 70 | |
| 2. | სასტუმროების საერთო ადგილები | 1507 | 2827 | 3327 | |
| | აქედან: | | | | |
| | – ლუქსი | 224 | 220 | 637 | |
| | – ერთადგილიანი | 114 | 149 | 280 | |
| | – ორადგილიანი | 1118 | 1376 | 1378 | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | – სამი და მეტადგილიანი | 51 | 274 | 932 | |
| 3. | საწოლ ადგილთა რაოდენობა კერძო სექტორში | – | 22500 | 24000 | |
| 4. | ადგილების საერთო რაოდენობა | 2898 | 26674 | 27327 | |
| 5. | სტუმართა რიცხვი წლის განმავლობაში (ათასი კაცი) | 83 | 147 | 223,1 | |
| | მათ შორის: | | | | |
| | – არარეზიდენტი | 8 | 27 | 67,5 | |
| 6 | სასტუმროებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა | 649 | 983 | | |
| | აქედან ქალები | 336 | 443 | | |

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურისტთა განთავსების ობიექტების საინფორმაციო მონაცემები:**

| დასახელება | ტიპი | ადგილმდე-ბარეობა | მისამართი | ადგილების რაოდენობა | ტელეფონი (ფაქსი) | ვებგვერდი/ ელ-ფოსტა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადელი | სასტუმრო | ბათუმი | ხიმშიაშვილის 7 | 30 | 893 355033 | | |
| ალიკი | სასტუმრო | ბათუმი | მ. აბაშიძის გამზ. 12 | 61 | 7 58 02<br>7 58 03 | http://hotelalik.gol.ge<br>alik@gol.ge | |
| ასტორია | სასტუმრო | ბათუმი | ხიმშიაშვილის 41 | 24 | 3 20 66<br>7 62 57 | hotel_astoria@mail.ru | |
| ბათუმი-2000 | სასტუმრო | ბათუმი | მაიაკოვსკის 15 | 45 | 7 25 68<br>7 55 00 | batumi2000@yahoo.com | |
| ბაკური | სასტუმრო | ბათუმი | წერეთლის 38 | 20 | 7 47 88<br>7 64 63 | bakuriltd@yahoo.com | |
| ბესო | სასტუმრო | ბათუმი | ბერიძის 15 | 53 | 7 66 59 | | |
| ბონი | სასტუმრო | ბათუმი | მაიაკოვსკის 15 | 60 | 7 48 20<br>3 11 71 | | |
| დავითი | სასტუმრო | ბათუმი | ბარათაშვილის 33 | 30 | 7 17 18<br>7 65 32 | www.hoteldavid.ge<br>hoteldv@gol.ge | |
| დუტა | სასტუმრო | ბათუმი | ფიროსმანის 15 | 18 | 899 517676 | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინტურისტ-პალასი | სასტუმრო | ბათუმი | ნინოშვილის 11 | 300 | 7 46 00<br>3 21 23<br>3 39 50 | www.intouristpalace.com<br>info@intouristpalace.com | |
| ლაით-ჰაუზი | სასტუმრო | ბათუმი | ყაზბეგის 4 | 20 | 3 36 10<br>3 39 17 | hotel@lighthouse.ge | |
| ლ-ბაკური | სასტუმრო | ბათუმი | ჭავჭავაძის 121 | 45 | 7 69 23<br>3 13 10 | | |
| მარანი | სასტუმრო | ბათუმი | გ. ბრწყინვალის 24 | 31 | 3 25 06 | www.hotelmarani.ge<br>admin@hotelmarani.ge | |
| მარი | სასტუმრო | ბათუმი | ლეონიძის 8 | 36 | 7 06 92<br>899 560780<br>899 584363 | | |
| მარინა | სასტუმრო | ბათუმი | ხიმშიაშვილის 10 | 84 | 899 118000 | | |
| მერკური | სასტუმრო | ბათუმი | ჭავჭავაძის 10/12 | 78 | 3 14 01<br>3 14 05 | www.hotelmercuryBM.ge<br>hotelmercuryBM@mail.ge | |
| წერეთელი | სასტუმრო | ბათუმი | ერას 33 | 24 | 7 58 73 | | |
| რიცა | სასტუმრო | ბათუმი | ზ.გამსახურდიას16 | 21 | 7 32 92 | info@hotelritsa.com | |
| ამირანი | სასტუმრო სახლი | ბათუმი | მაზნიაშვილის 3 | 20 | 7 55 15<br>899 570149 | www.hotelamirani.ge<br>nani@hotelamirani.ge | |
| გოგა | სასტუმრო სახლი | ბათუმი | პარიზ კომუნის 48 | 7 | 5 37 53 | | |
| ელადა | სასტუმრო სახლი | ბათუმი | პუშკინის 29 | 11 | 899 715862 | | |
| ვოიაჟი | სასტუმრო სახლი | ბათუმი | ბარათაშვილის ჩიხი 3 | 10 | | | |
| თიკო | სასტუმრო სახლი | ბათუმი | ზუბალაშვილის 20 | 10 | 7 27 15 | | |
| იალქანი | სასტუმრო სახლი | ბათუმი | ქუთაისის 10 | 8 | 7 70 44 | | |
| ილიკო | სასტუმრო სახლი | ბათუმი | კ. გამსახურდიას 42 | 16 | 7 38 92<br>899 101354 | | |
| ლავრო | სასტუმრო სახლი | ბათუმი | პუშკინის 29 | 16 | 877 465167 | | |
| ლოტოსი | სასტუმრო | ბათუმი | ქუთაისის 43 | 14 | 7 69 70 | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სახლი | | | | | | |
| მეტროპოლი | სასტუმრო სახლი | ბათუმი | იმნაძის 7 | 13 | 7 37 94<br>899 161815 | | |
| მონპელიე | სასტუმრო სახლი | ბათუმი | მაზნიაშვილის 18 | 15 | 7 69 51 | | |
| ოსკარი | სასტუმრო სახლი | ბათუმი | გორგასლის 6 | 17 | 7 62 67 | | |
| პირამიდა | სასტუმრო სახლი | ბათუმი | ვაჟა-ფშაველას 39 | 20 | 3 22 04<br>7 27 15 | | |
| რევაზი | სასტუმრო სახლი | ბათუმი | ჭავჭავაძის 50 | 10 | 3 22 20 | | |
| რიო | სასტუმრო სახლი | ბათუმი | გრიბოედოვის 8 | 8 | 7 63 18 | | |
| აფსაროსი | სასტუმრო | ხელვაჩაურის რაიონი | სოფ. გონიო | 20 | | | |
| ევა | სასტუმრო | ხელვაჩაურის რაიონი | სოფ. გონიო | 20 | | | |
| თანამგზავრი | სასტუმრო | ხელვაჩაურის რაიონი | ბათუმის მთა | 104 | 7 60 63<br>7 36 69 | www.hotelsputnik.com | |
| კვარიათი | სასტუმრო | ხელვაჩაურის რაიონი | სოფ.კვარიათი | 40 | 899 154500 | | |
| კახიძე | სასტუმრო | ხელვაჩაურის რაიონი | სოფ. გონიო | 28 | | | |
| ლიზა | სასტუმრო | ხელვაჩაურის რაიონი | სოფ. გონიო | 20 | | | |
| მართინი | სასტუმრო | ხელვაჩაურის რაიონი | სოფ.კვარიათი | 28 | 899 556464 | | |
| გიო | სასტუმრო სახლი | ხელვაჩაურის რაიონი | დაბა მახინჯაური | 40 | 877 415252 | | |
| გიორგი | სასტუმრო სახლი | ხელვაჩაურის რაიონი | სოფ გონიო | 20 | 899 577360 | | |
| ედემი | სასტუმრო | ქობულეთი | აღმაშენებლის 288 | 78 | 8-236 66763 | | |
| იმპერიალი | სასტუმრო | ქობულეთი | თამარ მეფის გამზირი 128 | 80 | | | |
| კოლხეთი | სასტუმრო | ქობულეთი | აღმაშენებლის 285 | 306 | 8-236 67820 | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოაზისი | სასტუმრო | ქობულეთის რაიონი | დაბა ჩაქვი, ბათუმის 16 | 141 | 7 01 35<br>8-236 70740 | hotel_oasis@gol.ge | |
| პალმა | სასტუმრო | ქობულეთის რაიონი | დაბა ჩაქვი, ბათუმის 32 | 20 | | | |
| სავანე | სასტუმრო | ქობულეთი | აღმაშენებლის 362 | 46 | 8-236 66538 | | |
| სანაპირო | სასტუმრო | ქობულეთი | თამარ მეფის გამზირი 1 | 18 | 8-236 67977 | | |
| ბიჩ-კლუბი | კლუბი | ქობულეთი | აღმაშენებლის 373 | 25 | 8-236 66867 | | |
| ბეშუმი | დასასვენებელი სახლი | ხულოს რაიონი | ბეშუმი | 330 | | | |

## 6.9 კომერციული ბანკები

| | | |
|---|---|---|
| 1 | თვითმმართველი ქალაქი ბათუმი | |
| | საქართველოს ეროვნული ბანკი | ბათუმის ფილიალი |
| | სს „სახალხო ბანკი" | 1 ფილიალი; 15 სერვის ცენტრი; |
| | სს „საქართველოს ბანკი" | 1 ფილიალი; 6 სერვის ცენტრი; |
| | სს „აგროინვესტბანკი" | 1 ფილიალი; |
| | სს „პროკრედიტბანკი" | 1 ფილიალი, 3 განყოფილება, 1 სერვის ცენტრი |
| | სს „ტაო ბანკი" | 1 ფილიალი; 2 სერვის ცენტრი |
| | სს „თიბისი ბანკი" | 1 ფილიალი |
| | სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" | 1 ფილიალი |
| | სს „ბანკი რესპუბლიკა" | 1 ფილიალი; 1 სერვის ცენტრი; |
| | სს „ბანკი ქართუ" | 1 ფილიალი |

| | | |
|---|---|---|
| | სს „ბაზის ბანკი" | 2 სერვის ცენტრი |
| | სს „ბტა სილქროუდ ბანკი" | 1 ფილიალი |
| 2 | ქობულეთის მუნიციპალიტეტი | |
| | სს „სახალხო ბანკი" | 1 ფილიალი; 3 სერვის ცენტრი |
| | სს „საქართველოს ბანკი" | 1 სერვის ცენტრი; |
| | სს „პროკრედიტბანკი" | 1 განყოფილება; |
| 3 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | |
| | სს „სახალხო ბანკი" | 1 ფილიალი; |
| 4 | ქედის მუნიციპალიტეტი | |
| | სს „სახალხო ბანკი" | 1 ფილიალი; |
| 5 | შუახევის მუნიციპალიტეტი | |
| | სს „სახალხო ბანკი" | 1 ფილიალი |
| 6 | ხულოს მუნიციპალიტეტი | |
| | სს „სახალხო ბანკი" | 1 ფილიალი |

## აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები

| № | დასახელება | რეგიონი | 2006 წელი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფინკა საქართველო | ქ. ბათუმი, | 1 სატელიტი ოფისი; 1 განყოფილება | |
| | | ქობულეთის მუნიციპალიტეტი | 1 განყოფილება | |
| 2 | ფონდი კონსტანტა | ქ. ბათუმი | 2 ფილიალი | |
| 3 | vf კრედო | ქ. ბათუმი | 1 წარმომადგენლობა | |
| | | ქობულეთის მუნიციპალიტეტი | 1 განყოფილება | |
| 4 | BBK Fin Group | ქ. ბათუმი | სათაო ოფისი | |

# 6.10. ჯანმრთელობის დაცვა

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებული სამედიცინო დაწესებულებათა ჩამონათვალი

| № | მუნიციპალიტეტის დასახელება | საავადმყოფო | სამშობიარო | პოლიკლინიკა | სასოფლო ამბულატორია | სხვა სამედიცინო დაწესებულებანი | აფთიაქი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი | 12 | 1 | 6 | – | 1 | 68 |
| 2 | ქობულეთი | 3 | 1 | 3 | 11 | 1 | 14 |
| 3 | ხელვაჩაური | 1 | – | 2 | 11 | 1 | 9 |
| 4 | ქედა | 1 | – | 1 | 6 | 1 | 4 |
| 5 | შუახევი | 2 | – | 1 | 8 | 1 | 2 |
| 6 | ხულო | 1 | – | 1 | 7 | 1 | 4 |
| | სულ აჭარა | 20 | 2 | 14 | 43 | 6 | 101 |

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კურორტები და საკურორტო ადგილები

### კურორტები

| № | კურორტის დასახელება | ადმ. რაიონი | კურორტის ტიპი | სიმაღლე ზღვ. დონიდან და საკურორტო ზონა | პროფილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი | ქ. ბათუმი | კლიმატური | ზღვისპირი I-1-ა | პროფილაქტიკური კარდიოლოგიური |
| 2 | ბეშუმი | ხულო | კლიმატური | 1900 IV-ა | პროფილაქტიკური პულმონოლოგიური |
| 3 | მახინჯაური | ხელვაჩაური | კლიმატური | ზღვისპირი I-1-ა | პროფილაქტიკური კარდიოლოგიური |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | მწვანე კონცხი | ხელვაჩაური | კლიმატური | 72 მ<br>1-1-ა | პროფილაქტიკური<br>პულმონოლოგიური,<br>ნევროლოგიური(ცნს) |
| 5 | ქობულეთი | ქობულეთი | კლიმატური | ზღვისპირი<br>I-1-ა | პროფილაქტიკური<br>კარდიოლოგიური<br>პულმონოლოგიური |
| 6 | ციხისძირი | ქობულეთი | კლიმატური | 70-90 მ.<br>1-1-ა | პროფილაქტიკური<br>პულმონოლოგიური,<br>კარდიოლოგიური<br>ნევროლოგიური (ცნს) |

## საკურორტო ადგილები

| | საკურორტო ადგილების დასახელება | ადმინისტრაციული რაიონი | საკურორტო ადგილის ტიპი | სიმაღლე ზღვის დონიდან საკურორტო ზონა და რაიონი | მინერალური წყლების ძირითადი ტიპი | სავარაუდო სამედიცინო პროფილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმის მთა | ხელვაჩაური | კლიმატური | 150 მ; -1-ა | | კარდიოლოგიური,<br>ნევროლოგიური (პნს) |
| 2 | ბობოყვათი | ქობულეთი | კლიმატური | 7 მ 1-1-ა | | პროფილაქტიკური,<br>პულმონოლოგიური,<br>ნევროლოგიური (ცნს) |
| 3 | ბოძაური | ხულო | კლიმატო-ბალნეოლოგიური | 1800 მ II-1-ბ | სულფიდური | პროფილაქტიკური,<br>კარდიოლოგიური,<br>ართროლოგიური,<br>გინეკოლოგიური |
| 4 | გონიო-სარფი | ხელვაჩაური | კლიმატური | ზღვისპირი 1-1-ა | | პროფილაქტიკური,<br>კარდიოლოგიური |
| 5 | კინტრიში | ქობულეთი | კლიმატური | 700 მ II-1-ა | | პროფილაქტიკური,<br>კარდიოლოგიური |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | კოკოტაური | ქედა | ბალნეოლოგიური | 680 მ II-1-ა | ნახშირმჟავა | გასტროენტეროლოგიური |
| 7 | ნამონასტრევი | ქედა | ბალნეო-კლიმატური | 850 მ II-1-ა | ნახშირმჟავა | პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, გასტროენტეროლოგიური |
| 8 | საბადური | ქედა | კლიმატური | 1300 მ III-ბ | ნახშირმჟავა | პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს) |
| 9 | სარიჩაი | შუახევი | კლიმატური | 2000 მ | | პროფილაქტიკური |
| 10 | საღორია | შუახევი | კლიმატური | 800 მ II-1-ა | | პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს) |
| 11 | სკურდას მთა | ქობულეთი | კლიმატური | 1200 მ | | პროფილაქტიკური |
| 12 | ტომაშეთი | შუახევი | კლიმატო-ბალნეოლოგიური | 1550 მ I V-ა | | პროფილაქტიკური, გინეკოლოგიური, ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს. |
| 13 | ფიჭვნარი | ქობულეთი | კლიმატური | 10 მ 1-1-ა | | პროფილაქტიკური, კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური, ნევროლოგიური (ცნს) |
| 14 | ჩირუხი | შუახევი | კლიმატური | 1970 მ | | პროფილაქტიკური |
| 15 | ცისკარა | ხელვაჩაური | კლიმატური | 1200 მ III-ბ | | პროფილაქტიკური |
| 16 | ხინოს-მთა | ქობულეთი | კლიმატური | 1850 მ IV-ა | | ართროლოგიური, ნევროლოგიური (პნს), გინეკოლოგიური |
| 17 | ჯინალი | შუახევი | კლიმატური | 1900 მ IV-ა | | პროფილაქტიკური |

## 7. მინერალური და რეკრეაციული რესურსები

აჭარაში არსებული მინერალურ-რესურსული ბაზა საშუალებას იძლევა ფერადი მეტალურგიისა და ოქროს წარმოების, სამშენებლო მასალების წარმოების, ქიმიური მრეწველობის, მინერალური და სასმელი წყლის ჩამოსხმის და რიგი სხვა დარგების განვითარებისათვის.

ფერად მეტალურგიას აჭარაში აქვს ნედლეულის მყარი ბაზა მერისის მადნიანი კვანძის საბადოების სახით. დაძიებული 6 საბადოზე (ვარაზა, ობოლო-კანლი-კაია, წყალბოკელა, ვერხნალა, ველიბური, ვაიო) ლითონების სამრეწველო მარაგებია: სპილენძი – 176,1 ათასი ტ, ტყვიის – 17,8 ათასი ტ. და თუთიის – 15,5 ათასი ტ. არსებული მონაცემებით მერისის მადნიანი კვანძის მადნებსა და მადანშემცველ ქანებში დაფიქსირებულია ოქროს, ვერცხლისა და იშვიათი ელემენტების (სელენი, ტელური, კადმიუმი, გალიუმი, სტრონციუმი) სამრეწველო შემცველობები. წინასწარი მონაცემებით ოქროს პროგნოზული რესურსები შეადგენს 44,5 ტონას.

მოსაპირკეთებელი მასალების არსებული საბადოები მრავალი წლით უზრუნველყოფს სამშენებლო ინდუსტრიას ნედლეულით. დღეისათვის სახელმწიფო ბალანსზეა მოსაპირკეთებელი მასალის ოთხი საბადო: დაგვის ტუფობრექჩიების (1124 ათასი კუბ. მ.), დანისპარაულის ანდეზიტ-დაციტების (2289 ათასი კუბ.მ.), ხალასთავის გაბრო-დიორიტების (550 ათასი კუბ. მ.) და ჟანივრის გაბროს საბადო (1300 ათასი კუბ.მ.). მიმდინარეობს სანალიის ანდეზიტ-დაციტისა და ნამონასტრევი-სიენიტის საბადოების მარაგების განსაზღვრა

ბათუმის სანაპირო ზოლის აკვატორიაში ნეგატიური დინამიური პროცესების განვითარების გამო აუცილებელია ჭოროხის საბადოდან ქვიშა-ხრეშის მოპოვების შეწყვეტა. ინერტული მასალების

ნედლეულით უზრუნველყოფა შესაძლებელია ახლომდებარე ახალშენის (11 მლნ. კუბ. მ.), ხეყრუსა (1097 ათასი კუბ. მ.) და დოლოგანის (1330 ათასი კუბ. მ.) საბადოების ხარჯზე.

ბრილის სააგურე-კერამიკული თიხის საბადო მრავალი წლით უზრუნველყოფს აგურისა და კრამიტის წარმოებას საბადოს სამრეწველო (საბალანსო) მარაგები შეადგენს 1 მლნ კუბ. მ-ს. სააგურე თიხის მარაგების გაზრდა შესაძლებელია ქობულეთის რაიონის საბადოების (ოჩხამური, ცეცხლაური, ჯიხანჯური) ხარჯზე.

აჭარაში ფართოდ გავრცელებული ლატერიტების ზოგიერთი სახესხვაობის ხარჯზე შესაძლებელია ცეცხლგამძლე და საყალიბე მასალის, კერამზიტის, საღებავისა და ცემენტის წარმოება. ამ მხრივ შესასწავლია ციხისძირისა და ბარცხანის (საღებავების წარმოება) ცეცხლაურისა და ოჩხამურის (ცეცხლგამძლე და საყალიბე მასალა) ლატერიტული თიხები.

აჭარაში ცნობილია ფერადი და სანაკეთობო ქვების რამდენიმე პერსპექტიული გამოვლინება. რსიანის ქედის დასავლეთ კალთებზე აღმოჩენილია მაღალდეკორატიული იასპის, ოპალის, ქალცედონის, ოპალიზებული (გაქვავებული) ხისა და ფისისებრი ბაზალტის რამდენიმე გამოვლინება. ფერადი ქვების (აქატი, იასპი) გამოვლინებები აღმოჩენილია შუახევისა და ქედის რაიონის ტერიტორიაზეც.

წინასწარი მონაცემებით განსაზღვრულია ნედლეულის პროგნოზული რესურსები:

– ოპალიზებული ხე – 3500 ტ;

– ფისისებური ბაზალტი – 2330 ტ;

– ქალცედონი და აქატი – 212 ტ.

ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში მინერალურ-რესურსული ფაქტორების როლის გაზრდა შესაძლებელი გახდება ეკონომიკური ტევადობის მქონე

ბიზნესწინადადებების შემუშავების, მათი რეკლამირების, ინვესტიციების მოზიდვისა და რეალიზაციის გზით.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჰიდრომინერალური რესურსები

1. კვირიკე (ლანჩის აბანო);
2. ჩაქვი;
3. ხალა;
4. კაპნისთავი
5. წისქვილისღელე
6. საინი
7. ბაკანეთი
8. ჭიდილისხევი
9. სარეცხელა
10. გუნდაური
11. მერისის აბანო(მიქელწმინდა)
12. ცხმორისი
13. დვალაძეების აბანო
14. იხტიაშვილების წყარო (შაბის წყალი)
15. ნამონასტრევი
16. საქაჯია

17. ღომის წყლები
18. ბაზანური
19. დუმბაძეების წყარო (ეკლარის წყარო)
20. ტბეთი (გუდნა)
21. იაკობავრი
22. გოგოლაძეების წყარო
23. დიოკნისი
24. წაბლანა
25. ყინჩაური
26. ხიხაძირი
27. ბეშუმი
28. დანისპარაული
29. კოკოტაური
30. უჩამბა
31. ხუცუბანი
32. შუაღელე
33. მახინჯაური
34. შუახევი
35. ბუღაური
36. შუბანი
37. ტომაშეთი

38. ჭახათი

39. სახევარა

40. ნამუხვარი

41. ბარამიძეების წყარო

42. ასანიშვილების წყარო

43. საღორია

44. წყერისთავი

45. ლაშე

46. წყალბოკელა

47. ჩანჩხალო

48. წყალამბრის აბანო

49. ქუთაური

50. კლდის აბანო (ჩირუხისხევი)

51. საანის აბანო

53. თეთრი მიწაბოლო

52. აბანოსყელი

აჭარის მდიდარი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები, ხელსაყრელი ჰავა, თბილი ზღვა, მთაბარი და ერთმანეთისაგან განსხვავებული ხეობები, დაფარული ტყითა და ენტემური მცენარეულობით, ცხოველთა სამყარო, ბუნების უნიკალური ძეგლები, მრავალსაუკუნოვანი არქეოლოგიური, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები. მდიდარი ფოლკლორი, მრავალფეროვანი სამზარეულო, სტუმართმასპინძლობა, კულტურის მნიშვნელოვანი ობიექტები (ეკლესიები, მუზეუმები, თეატრები)

ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ტურისტული მარშრუტების ფართო ქსელის განვითარებისათვის. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა შეიმუშავა და უკვე მოქმედებს არაერთი თემატური ტურისტული მარშრუტი, საიდანაც ყველაზე პოპულარულია:

**ა) ტურისტული მარშრუტი „ბათუმიხელვაჩაურიაჭარისაღმართიჩხუტუნეთი“.** მარშრუტის საერთო სიგრძე – 110 კმ, ხანგრძლივობა - 2 დღე; მოქმედების ვადა: მთელი წელი; ღამისთევის ადგილი – ჩხუტუნეთი (კერძო სახლი); მარშრუტის საწყისი პუნქტი – კურორტი ბათუმი; მარშრუტის საბოლოო პუნქტი – ჩხუტუნეთი. <u>დასათვალიერებელი ობიექტები</u>: მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; არქეოლოგიური მუზეუმი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ეთნოგრაფიული მუზეუმი (მეჯინისწყალი); მაჭახელას ხეობის ეთნოგრაფიული მუზეუმი (ჩხუტუნეთი); <u>მატერიალური კულტურის ძეგლები:</u> გვარას ციხე; ჩხუტუნეთის ციხე; ცხემლარის ქვის თაღოვანი ხიდი; ჩომახურისის ქვის თაღოვანი ხიდი; ჩხერის ქვის თაღოვანი ხიდი; ზვარიას ქვის თაღოვანი ხიდი; აჭარისწყლის ეკლესია; <u>ბუნების საინტერესო ადგილები:</u> მდინარე ჭოროხის ხეობა; მდინარე აჭარისწყლის ხეობა; მდინარე მაჭახელას ხეობა; მირვეთის ჩანჩქერი; ჩხუტუნეთის ჩანჩქერი.

**ბ) ტურისტული მარშრუტი „ბათუმი – აჭარის არ-ის ადმინისტრაციული ცენტრი“.** მარშრუტის საერთო სიგრძე – 4 კმ; ხანგრძლივობა – 6 საათი; მოქმედების ვადა: მთელი წელი; მარშრუტის საწყისი პუნქტი – ბათუმის საზღვაო სადგური; მარშრუტის საბოლოო პუნქტი – სულიწმინდის მოფენის კათოლიკური ეკლესია; <u>დასათვალიერებელი ობიექტები</u>: საზღვაო სადგური; ქ. თურმანიძის მუზეუმი–სახელოსნო; თავისუფლების მოედანი; დრამატული თეატრი; ი. ჭავჭავაძის სახელობის სკვერი; სამხატვრო გალერია; კულტურისა და დასვენების ზღვისპირა პარკი; წმინდა ბარბარეს სახ. ეკლესია; ფერადი მუსიკალური შადრევნები; ხელოვნების მუზეუმი; სინაგოგა; არქეოლოგიური

მუზეუმი; ღვთისშობლის სახ. საკათედრო ტაძარი; სომხური გრიგორიანული ეკლესია; წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი; მეჩეთი; სტალინის სახელობის სახლ-მუზეუმი; კათოლიკური ეკლესია

**გ) ტურისტული მარშრუტი „ბათუმი-ქობულეთი-ჭახათი-ხინო“.** მარშრუტის საერთო სიგრძე – 140 კმ; ხანგრძლივობა – 2 დღე; მოქმედების ვადა: მაისი-ოქტომბერი; ღამისთევის ადგილი – ხინო (კერძო სახლი); მარშრუტის საწყისი პუნქტი – კურორტი ბათუმი; მარშრუტის საბო-ლოო პუნქტი – საკურორტო ადგილი ხინო. დასათვალიერებელი ობიექტები: ბათუმის ბოტანიკური ბაღი; კურორტები: მახინჯაური; მწვანე კონცხი; ციხისძირი; ქობულეთი; პეტრა-ქაჯეთის ციხე; ცხემოვანის თაღოვანი ხიდი; კობალაურის თაღოვან ხიდი; ხინოს სამონასტრო კომპლექსი.

**დ) ტურისტული მარშრუტი „ბათუმი-ხელვაჩაური-ქედა-შუახევი-ზამლეთი-სხალთა-ხიხაძირი-თხილვანა-ხიხანი”.** მარშრუტის საერთო სიგრძე – 180 კმ; ხანგრძლივობა – 2 დღე; მოქმედების ვადა: აპრილი - ოქტომბერი; ღამისთევის ადგილი – ხულოს რაიონის სოფ. ხიხაძირი (კერძო სახლი); მარშრუტის საწყისი პუნქტი – კურორტი ბათუმი; მარშრუტის საბოლოო პუნქტი – ხულოს რაიონის სოფ. ხიხაძირი; დასათვალიერებელი ობიექტები: მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; ხელოვნების მუზეუმი; არქეოლოგიური მუზეუმი; მატერიალური კულტურის ძეგლები: ცივასულას ციხე; ზენდიდის ციხე; ტაკიძეების ციხე; კავიანისა ციხე; ხიხანის ციხე; ქვის თაღოვანი ხიდები: მახუნცეთის ქვის თაღოვანი ხიდი; დანდალოს ქვის თაღოვანი ხიდი; ფურტიოს ქვის თაღოვანი ხიდი; საკულტო ძეგლები: სხალთის ტაძარი; ვერნების ეკლესია; კალოთის ეკლესია; თიკანაურის ეკლესია; თხილვანის ეკლესია; აჭარისწყლის ეკლესია; ზვარეს ეკლესია.

**ე) ტურისტული მარშრუტი „მთიანი აჭარა“.** მარშრუტის საერთო სიგრძე – 260 კმ; ხანგრძლივობა – 3 დღე; მოქმედების ვადა: ივნისი - სექტემბერი; ღამისთევის ადგილები: დაბა ხულო (კერძო სახლი); კურორტი ბეშუმი (კერძო სახლი); მარშრუტის საწყისი პუნქტი – კურორტი ბათუმი;

მარშრუტის საბოლოო პუნქტი – კურორტი ბეშუმი; დასათვალიერებელი ობიექტები: მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; ხელოვნების მუზეუმი; არქეოლო-გიური მუზეუმი; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ეთნოგრაფიული მუზეუმი; ქედის მუნიციპალიტეტის ეთნოგრაფიული მუზეუმი; მატერიალური კულტურის ძეგლები: საღორეთის, ცივასულას, ზენდიდის, გულების, ტაკიძეების, კავიანისა ციხეები; მახუნცეთის, დანდალოს, ფურტიოს ქვის თაღოვანი ხიდეები, საკულტო ძეგლები: აჭარისწყლის ეკლესია; ზვარეს ეკლესია; მუნიციპალიტეტების ცენტრები: ხელვაჩაური; ქედა; შუახევი; ხულო; ბუნების საინტერესო ადგილები: მდინარე ჭოროხის ხეობა; მდინარე აჭარისწყლის ხეობა; მახუნცეთის ჩანჩქერი; გოდერძის უღელტეხილი; მწვანე ტბა; ალპური მდელოები; ქვის სვეტები; ქვის კოშკები; ქვაკაცები; გოდერძის ნამარხი ტყე და ფაუნა.

**გ) ტურისტული მარშრუტი – „ანტიკური ხანის ზღვისპირეთი“.** მარშრუტის საერთო სიგრძე – 120 კმ; ხანგრძლივობა – 1 დღე; მოქმედების ვადა: მთელი წელი; მარშრუტის საწყისი პუნქტი – კურორტი ბათუმი; მარშრუტის საბოლოო პუნქტი – ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარი; დასათვალიერებელი ობიექტები: არქეოლოგიური მუზეუმი; მატერიალური კულტურის ძეგლები: ღვთისშობლის სახ. საკათედრო ტაძარი; წმინდა ბარბარეს სახ. ეკლესია; სინაგოგა; მეჩეთი; კათოლიკური ეკლესია; გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრე; თამარის ციხე; პეტრა-ქაჯეთის ციხე; ანტიკური ხანის ნაქალაქარები – გონიო-აფსაროსი, ფიჭვნარი; კურორტები: ბათუმი; მახინჯაური; მწვანე კონცხი; ციხისძირი; ქობულეთი; საკურორტო ადგილები: გონიო-სარფი; ჩაქვი; ბობოყვათი; ფიჭვნარი.

# 8. მხარის საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა.

| | |
|---|---|
| 1 | ათასწლეულის გამოცვევის პროგრამა “ემ-სი-ჯი” |
| 2 | ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების პროგრამა საქართველო |
| 3 | გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში – „დასაქმების ხელშეწყობისა და მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების პროგრამა” |
| 4 | მსოფლიო ბანკის პროექტები |
| 5 | საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი |
| 6 | სურსათით უზრუნველყოფის, რეგიონალური თანამშრომლობისა და სტაბილურობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში (GTZ) |
| 7 | CHF International |
| 8 | World Vision International-ი საქართველოში |
| 9 | ურბანული ინსტიტუტე |
| 10 | ფინკა საქართველო |
| 11 | ფონდი კონსტანტა |
| 12 | ფონდი “ღია საზოგადოება საქართველო” |
| 13 | მიწის მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაცია |
| 14 | სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი |

## საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები

### სსიფ-ის ობიექტები აჭარაში

| | |
|---|---|
| | ხულოს მუნიციპალიტეტი |
| 1 | სოფ. ღორჯომის სკოლის რემონტი |

| | |
|---|---|
| 2 | სოფ. ბაკიბაკოს სკოლის მშენებლობა |
| 3 | სოფ. სხალთის ხიდის რეაბილიტაცია |
| 4 | სოფ. უჩხოს სკოლის სპორტ. დარბაზის მშენებლობა |
| | **შუახევის მუნიციპალიტეტი** |
| 5 | სოფ. ჯაბნიძეების სკოლის რეაბილიტაცია |
| 6 | სოფ. შუბანის სკოლის რემონტი |
| 7 | სოფ. უჩამბის სკოლის რემონტი |
| 8 | სოფ. ჭვანას სკოლის რემონტი |
| 9 | სოფ. გოგინაურის თემის ცენტრის რემონტი |
| | **ქედის მუნიციპალიტეტი** |
| 10 | ცხმორისის თემის ცენტრის რემონტი |
| 11 | დაბა ქედის წყალსადენის რეაბილიტაცია (შიდა ქსელი) |
| 12 | მერისის სკოლა-ინტერნატის საძილე კორპუსის რეაბილიტაცია |
| 13 | სოფ. მეძიბნას თემის ცენტრის რეაბილიტაცია |
| | **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი** |
| 14 | მახინჯაურის სკოლის სპორტული დარბაზის რემონტი |
| 15 | სოფ. ქედქედის სკოლის რეაბილიტაცია |
| 16 | სოფ. აგარას ხიდი |
| 17 | კირნათის საკრებულოს ძაბლავეთის და კომბალეთის დაწყებითი სკოლების რეაბილიტაცია |
| | **ქობულეთის მუნიციპალიტეტი** |
| 18 | დაბა ჩაქვის წყალსადენის რეაბილიტაცია |
| 19 | სოფ. ჭახათის სკოლის რეაბილიტაცია |
| 20 | ციხისძირის სკოლის რემონტი |

სულ 1 728 335.09

შენიშვნა: ობიექტებზე, სადაც მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, მითითებულია კონტრაქტორის მიერ შემოთავაზებული ღირებულება. სხვა შემთხვევებში წარმოდგენილია სსიფ-ის საორიენტაციო ღირებულება ტენდერის ჩატარებამდე.

(სსიფ-ი აფინანსებს პროექტის ღირებულების 92%, ხოლო 8% ფინანსდება ადილობრივი ბიუჯეტებიდან)

## სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)

| № | ადგილმდებარეობა | პროექტის დასახელება |
|---|---|---|
| | **შუახევის რ-ნი** | |
| | სოფ. დღვანი | ამბულატორიის მშენებლობა |
| | სოფ. ფურტიო | სასმელი წყლის წყალსადენის მშენებლობა |
| | ჭალა-წყაროთა-ახალდაბა | სარწყავი არხის რეაბილიტაცია და არხის გამტარუნარიანობის გადიდება |
| | დ. შუახევი | ხილის გადამამუშაველი საამქროს რეაბილიტაცია |
| | რაიონის მასშტაბით | მეცხოველეობის ჯიშობრივი გაუმჯობესება (შეიძინეს 4 ხარი) |
| | რაიონის მასშტაბით | ვაზის სანერგის მოწყობა |
| | სოფ. დაბაძველი | ბოსტნეული კულტურის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დემონსტრირება |
| | რაიონის მასშტაბით | მეფუტკრეობის გაუმჯობესება (350 ოჯახი ფუტკარი) |
| | სოფ. დაბაძველი | სათიბების გაუმჯობესება |
| | შუახევის რაიონის ცენტრი | ფერმერთა სახლის ამოქმედება |

# მსოფლიო ბანკის პროექტები

| № | ადგილმდებარეობა | პროექტის დასახელება |
|---|---|---|
| | ქედის რაიონი | |
| | სოფ. მახუნცეთი | ამბულატორიის რემონტი |
| | სოფ. პ/მაისი | ამბულატორიის მშენებლობა |
| | სოფ. ზვარე | ამბულატორიის მშენებლობა |
| | სოფ. ცხმორისი | ამბულატორიის მშენებლობა |
| | სოფ. დანდალო | ამბულატორიის რემონტი |
| | სოფ. მერისი | ამბულატორიის რემონტი |
| | ქობულეთის რაიონი | |
| | სოფ ქაქუთი | ამბულატორიის მშენებლობა |
| | სოფ. ქობულეთი | არსებული ამბულატორიის გაფართოება |
| | 8 საკრებულო | ამბულატორიის შენობების კაპიტალური რემონტი |
| ხელვაჩაურის რაიონი | | |
| | სოფ თხილნარი | ამბულატორიის რეკონსტრუქცია |
| | კახაბერი | ამბულატრორიის მშენებლობა |
| | სოფ. აჭარის აღმართი | ამბულატურიის რემონტი |
| | ურეხის თემი | ამბულატორიის რეაბილიტაცია |
| | ახალშენის თემი | ამბულატორიის რეაბილიტაცია |
| | კირნათის თემი | ამბულატორიის რეაბილიტაცია |

| ადგილმდებარეობა | პროექტის დასახელება |
|---|---|
| ქედის რაიონი | |
| ზვარეს საკრებულო, სოფ. ზესოფელი | ელექტროსისტემის აღდგენა |
| ზვარეს საკრებულო, სოფ. ზესოფელი | ხიდის აღდგენა |
| ზვარეს საკრებულო, სოფ. სირაბიძეები | მაღალი ძაბვის ელექტროგაყვანილობის აღდგენა |
| ზვარეს საკრებულო, სოფ. სირაბიძეები | სასმელი წყლის აღდგენა |
| მახუნცეთის საკრებულო, სოფ. მახუნცეთი | სარწყავი სისტემის აღდგენა |
| მახუნცეთის საკრებულო, სოფ. ქვედაბზუბზუ | სარწყავი სისტემის აღდგენა |
| მერისის საკრებულო, სოფ. გუნდაური | ელექტროსისტემის აღდგენა |
| მერისის საკრებულო, სოფ. ინაშარიძეები | მაღალი ძაბვის ელექტროგაყვანილობის აღდგენა |
| მერისის საკრებულო, სოფ. ინაშარიძეები | სათემო გზის აღდგენა |
| პირველი მაისის საკრებულო, სოფ. ზედაგარა | ელექტროსისტემის აღდგენა |
| პირველი მაისის საკრებულო, სოფ. კოლატაური | ელექტროსისტემის აღდგენა |
| ცხმორისის საკრებულო, სოფ. ახო | ელექტროსისტემის აღდგენა |
| ცხმორისის საკრებულო, სოფ. | ელექტროსისტემის აღდგენა |

| | |
|---|---|
| გობრონეთი | |
| ცხმორისის საკრებულო<br>სოფ. გობრონეთი | სარწყავი სისტემის აღდგენა |
| ცხმორისის საკრებულო<br>სოფ. კოკოტაური | შიდა გზების აღდგენა |
| **ქობულეთის რაიონი** | |
| სოფ ზედა სამება | ელექტროსისტემის აღდგენა |
| **ხელვაჩაურის რაიონი** | |
| აჭარისწყლის საკრებულო, სოფ.<br>კიბე | დაბალი ძაბვის ელექტროგაყვანილობის აღდგენა |
| აჭარისწყლის საკრებულო, სოფ.<br>კიბე | ელექტრო სისტემის აღდგენა |
| ახალშენის საკრებულო, სოფ.<br>ხელრუ | გზის აღდგენა |
| ურეხის საკრებულო, სოფ.<br>ზედაღელე | ელექტროსისტემის აღდგენა |

## ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის „ნატოს“ პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“

| ადგილმდებარეობა | პროექტის დასახელება |
|---|---|
| **ქობულეთი რაიონი** | |
| ქობულეთი | ქობულეთის ცენტრალური საავადმყოფოს რემონტი, კერძოდ: ელექტრო გაყავნილობის, კარ-ფანჯრების შეცვლა და გარე ფასადის მოწესრიგება |

## აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი ქართული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მაქსიმალური ზრდა (გვანტაგე)

| ადგილმდებარეობა | პროექტის დასახელება |
|---|---|
| ქობულეთის რ-ნი | |
| სოფ. ბუკნარი | ციტრუსის მიღებისა და გადაზიდვის ხელშეწყობა (4000 ტ ციტრუსის რეალიზაცია) |

## "ემ-სი-ჯი"-ს და ერგბ-ს პროექტები

| № | პროექტის დაწყების სავარაუდო დრო | დონორი |
|---|---|---|
| 1 | ქობულეთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია | "ემ-სი-ჯი" |
| 2 | ქობულეთის კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია | რგბ ჰოლანდიის მთავრობა |

## მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტები

| | ადგილმდებარეობა | პროექტის დასახელება | პროექტის შესრულების ვადა | | ღირებულება | დაფინანსების წყარო |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დაწყების თარიღი | დამთავრების თარიღი | | |
| 2000-2004 წლებში განხორციელებული პროექტები | | | | | | |
| 1 | ბათუმი | დამცავი კედლის მშენებლობა | დასრულებულია | | | 40% გრანტი<br>40% სესხი<br>20% ადგილობრივი ბიუჯეტი |
| 2 | ბათუმი | გზის სარეაბილიტიაციო სამუშაოები ჭავჭავაძის ქუჩაზე (I ფაზა) | დასრულებულია | | | 40% გრანტი<br>40% სესხი<br>20% ადგილობრივი ბიუჯეტი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჭავჭავაძის ქუჩაზე (II ფაზა) | დასრულებულია | | | 40% გრანტი<br>40% სესხი<br>20% ადგილობრივი ბიუჯეტი |
| 4 | ბათუმი | ნაგვის მანქანებისა და ურნების შეძენა | დასრულებულია | | | 40% გრანტი<br>40% სესხი<br>20% ადგილობრივი ბიუჯეტი |
| **2005 წელს დაწყებული და მიმდინარე პროექტები** | | | | | | |
| 1. | ბათუმი | სულაბერიძის ქუჩის რეკონსტრუქცია | 2005 წ. აგვისტო | 2005 წ. დეკემბერი | 1391,4 | 40% გრანტი<br>40% სესხი<br>20% ადგილობრივი ბიუჯეტი |
| 2. | ბათუმი | ჩაქვისწყლის სათავო ნაგებობის სარეაბილი-ტაციო სამუშაოები | 2005 წლის ოქტომბერი | 2006 წელი | 2400,0 | 40% გრანტი<br>40% სესხი<br>20% ადგილობრივი ბიუჯეტი |
| 3. | ბათუმი | აბუსერიძის ქუჩაზე გამავალი კანალიზაციის კოლექტორისა და სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია | 2005 წელი 1 იანვარი | 2006 წელი 30 სექტემბ. | 2994,3 | 40% გრანტი<br>40% სესხი<br>20% ადგილობრივი ბიუჯეტი |

## 9. საინფორმაციო მომსახურების სისტემა

აჭარაში მოქმედი შპს „აჭარის ელექტროკავშირის" საქმიანობის სფერო მთლიანად მოიცავს ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებით მომსახურებას, როგორიცაა ადგილობრივი სატელეფონო კავშირი, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირი, სატელეგრაფო კავშირი; რადიოუზრუნველყოფა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კავშირგაბმულობის დარგი წარმოდგენილია ოთხი კომპანიით: შპს „აჭარის ელექტროკავშირი" (სატელეფონო სადგურების საერთო სამონტაჟო ტევადობა - 32566 ნომერი), შპს „საბატელი" (ელექტრონული სადგურის მონტირებული ტევადობა - 4000 ნომერი), შპს „ვემატელი" (4000 ნომრით), შპს „ალკომი" ( 250 ნომრით) ტარიფს.

ელექტროკავშირის სატელეფონო ქსელი აღჭურვილია 24 სატელეფონო სადგურით, საიდანაც 5 ელექტრონული, 2 დეკადურ-ბიჯური და 17 კოორდინატულია, აქედან, ბათუმი – 1 ელექტრონული (ტევადობა 7168 ნომერი), 1 დეკადურ-ბიჯური (ტევადობა - 8000 ნომერი), 2 კოორდინატული (ტევადობა - 6000 ნომერი),

– ხელვაჩაური – 1 კოორდინატული (ტევადობა – 2000 ნომერი),

– ქობულეთი – 1 ელექტრონული (ტევადობა – 2048 ნომერი), 1 დეკადურ-ბიჯური (ტევადობა – 1800 ნომერი),

– ქედა – 1 ელექტრონული (ტევადობა – 1040 ნომერი), 6 კოორდინატული სოფლის ასს (ტევადობა – 850 ნომერი),

– შუახევი – 1 ელექტრონული (ტევადობა – 528 ნომერი), 7 კოორდინატული სოფლის ასს (ტევადობა – 1000 ნომერი),

– ხულო – 1 ელექტრონული (ტევადობა – 1532 ნომერი), 1 კოორდინატული სოფლის ასს (ტევადობა – 400 ნომერი).

შპს „აჭარის ელექტროკავშირს" გააჩნია საქალაქთაშორისო მაგისტრალური ხაზები (სიმეტრიული კაბელით), რომელთა საერთო სიგრძეა 141,56 კმ. სულ ექსპლუატაციაში გაერთიანება-საწარმოების მომსახურე სხვა უწყებების ხაზების ჩათვლით – 422,14 კმ. სატელეგრაფო კავშირებით

მომსახურება წარმოებს დამამკვრივებელი აპარატურით წარმოქმნილი, 20 საქალაქთაშორისო-სატელეგრაფო არხის მეშვეობით.

შპს „აჭარის ელექტროკავშირის" საქმიანობის სფერო მოიცავს რადიოკავშირით მომსახურეობას. შპს „აჭარის ელექტროკავშირის" საკუთრებაშია საშუალოტალღოვანი სამაუწყებლო სადგური SR-5, მონაცემებით: სიმძლავრე – 5კვტ, სიხშირე – 909 კჰც, ტალღის სიგრძე – 330მ.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ინტერნეტქსელით მომსახურეობას ეწევიან ინტერ-ნეტპროვაიდერული კომპანიები: „ონლაინი", შპს „ატელი", „ალფატელეკომი", „სი ტი ეს". ინტერნეტმომსახურება მოიცავს მხოლოდ ქ. ბათუმსა და ქ. ქობულეთს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ითვლება ფიჭური კავშირით მომსახურების დაფარვის ზონად. აჭარის მოსახლეობა ძირითადად სარგებლობს მობილური კომპანიების მაგთისა და ჯეოსელის მომსახურებით.

### აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

1. აჭარის ტელე-რადიო დეპარტამენტი
მისამართი: მ. აბაშიძის 41. ტ. (888 222) 7 43 70
დირექტორი: თეა ცეცხლაძე.

2. ტელეარხი 25
მისამართი: პუშკინის 29 ტ. 7 69 25
დირექტორი გია სურმანიძე

ცენტრალური ტელევიზიების რეგიონალური ბიუროები:

1. ტ/კ „იმედის” – მერაბ წულუკიძე
2. ტ/კ „რუსთავი 2” – თეა ვაშალომიძე
3. ტ/კ „მზე” – ნათია ზოიძე
4. საზოგადოებრივი მაუწყებელი – ნათია სირაბიძე

რადიო

რადიო „აჭარა” – 7 43 94

„მწვანე ტალღა” – 893 25 04 78

რადიო „იმედი” –

რადიო „ფორტუნა” – 899 79 09 47

პრესა

გაზეთი „აჭარა” – დათო ჩხარტიშვილი 893 32 23 30

„ბათუმელები” – ეთერ თურაძე 877 45 63 36

„აჭარა პს” – ჯემალ მეგრელიძე

## 10. მხარის საინვესტიციო პოტენციალი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს საქართველოს უმნიშვნელოვანეს შავიზღვისპირა რეგიონს როგორც მისი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობით, ისე დინამიურად განვითარებადი ეკონომიკით.

ქვეყნაში წარმატებით ხორციელდება ეკონომიკური რეფორმები. ამოქმედდა ლიბერალური საგადასახადო კოდექსი, სწრაფად ვითარდება ინფრასტრუქტურა, ჩამოყალიბდა გამჭვირვალე და თანაბარი პირობები ბიზნესისათვის, რის შედეგადაც ფუნქციონირება დაიწყო ახალმა საწარმოებმა, შეიქმნა სამუშაო ადგილები.

რეგიონის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა ხელმისაწვდომს ხდის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებს. თბილი კლიმატი, მდიდარი ბუნებრივი რესურსები, მაღალკვალიფციური მუშახელი, განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა წარმატებული საქმიანობის წინაპირობაა.

მშპ-ს რეგიონალური წილის რეალურმა ზრდამ ბოლო წლებში 7-10% შეადგინა. რეგიონში არის ხელსაყრელი პირობები მომსახურების, ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მიმდინარეობს პრივატიზაციის პროცესი, ფართოვდება კერძო სექტორი. პრივატიზირებულია 300-მდე მცირე და მსხვილი ობიექტი, მათი პრივატიზებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 48 მლნ აშშ დოლარი. განვლილ სამ წელიწადში რესპუბლიკაში პრივატიზებულ ობიექტებში განხორციელდა 35 აშშ მლნ დოლარის ინვესტიცია. მომდევნო სამ წელიწადში მოსალოდნელია ინვესტიციების მკვეთრი ზრდა, რაც საორიენტაციოდ მიაღწევს 235 მლნ აშშ დოლარს. მთლიანად რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი რამდენიმე მილიარდი დოლარით განისაზღვრება.

პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობს, როგორც ქართული, ასევე უცხოური კაპიტალი, განსაკუთრებით აღსანიშვია ღირსია ყაზახური, თურქული, უკრაინული, რუსული, სომხური, დანიური, ჰოლანდიური, ბრიტანული, ფრანგული და სხვა ქვეყნების ინვესტიციები.

რეგიონში შექმნილ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- აჭარის გეო-სტრატეგიული მდებარეობა;
- ახალი ლიბერალური საგადასახადო კოდექსი;
- კვალიფიციური და იაფი მუშახელის არსებობა;
- მიმზიდველი საწარმოო და საცხოვრებელი პირობების არსებობა;
- ხელსაყრელი საექპორტო რეჟიმები (WTO-ს წევრობა, GSP-ი რეჟიმით სარგებლობა);
- ლოგისტიკური, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის არსებობა;
- მაღალხარისხიანი ნედლეულის და მდიდარი ბუნებრივი რესურსების არსებობა;
- ბიზნესისა და მომსახურების გარემოს გაუმჯობესება;
- პირდაპირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას მთავრობის მხარდაჭერა.

2006 წელს დაფიქსირდა ინვესტიციების 56,4%-იანი ზრდა, და შეადგინდა 75,5 მლნ. ლარი. საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით გაზრდილია უცხოური ფინანსური ინვესტიციების მოცულობა, რომლის რეალური ვითარება შემდეგია:

ინვესტიციები ძირითად კაპიტალში – სულ:

2005 წელს 73 770,0 ათასი ლარი,

2006 წელს 115 350,0 ათასი ლარი,

აქედან:

1. ძირითად კაპიტალში – 2005 წელს 65 270,0 ათასი ლარი,
2006 წელს 77 400,0 ათასი ლარი,

*აქედან:*

**სახელმწიფო (საბიუჯეტო) სექტორი** (განხორციელებული ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით)

– 2005 წლის ინვესტიციები საბიუჯეტო სექტორში – გზების მშენებლობა 4 153,7 ათასი ლარი; ქუჩების კეთილმოწყობა-განაშენიანება 3 550,0 ათასი ლარი განათლების სფერო – 11 400,0 ათასი ლარი;

– 2006 წლის ინვესტიციები – გზების მშენებლობა – 3 620,3 ათასი ლარი, ქუჩების კეთილმოწყობა-განაშენიანება – 6 300,0; განათლების სფერო – 12 450,0.

*არასაბიუჯეტო სექტორი*

– 2005 წელს არასაბიუჯეტო სექტორში ძირიტად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების (46 116,8 ათასი ლარი) დარგობრივი სტრუქტურა შემდეგია:

- მშენებლობა – 2 870,3 ათასი ლარი
- მრეწველობა – 10 266,0 ათასი ლარი
- სოფლის მეურნეობა (გადამმუშავებელის ჩათვლით) – 158,0 ათასი ლარი
- ვაჭრობა – 2 158,5 ათასი ლარი
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 22 164,0 ათასი ლარი
- სასტუმროები და რესტორნები – 8 500,0 ათასი ლარი

– 2006 წელს არასაბიუჯეტო სექტორში ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების (55 030,0 ათასი ლარი) დარგობრივი სტრუქტურა შემდეგია:

- მშენებლობა – 4 479,9 870,3 ათასი ლარი
- მრეწველობა – 12 055,9 ათასი ლარი
- სოფლის მეურნეობა (გადამმუშავებელის ჩათვლით) - 240,0 ათასი ლარი
- ვაჭრობა – 2 802,2 ათასი ლარი
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 25 517,0 ათასი ლარი
- სასტუმროები და რესტორნები – 9 935,0 ათასი ლარი

2. უცხოური ფინანსური ინვესტიციები დაბანდებული პრივატიზაციის ფორმით:

**2005 წელი – 8 500,0 ათასი ლარი,** საიდანაც ძირითადი ინვესტიციები მოდის: თურქულ ინვესტიციებზე –1 020,0 ათასი; რუსულ ინვესტიციებზე – 5 856,0 ათასი ლარი (შპს „ინტურისტ პალასი" –5 335,0 ათასი ლარი): ფრანგული ინვესტიციები – 902,2 ათასი ლარი (შპს „თოლიის" რეალიზაცია);

**2006 წელი – 37950,0 ათასი ლარი,** საიდანაც ძირითადი ინვესტიციები მოდის: ყაზახურ ინვესტიციებზე (სს „აჭარის კურირტების" პრივატიზაცია) – 30 100,0 ათასი ლარი; ავსტრიული ინვესტიცია (ფეხბურთის სტადიონის რეალიზაცია) 3 440,0 ათასი ლარი; თურქული ინვესტიცია (ძირითადი მოდის შს სამინისტროს ყოფილი ადმინისტრაციული შენობის რეალიზაცია 2 270) – 2 580,0: დანიური ინვესტიცია (შპს "შელფის რეალიზაცია) – 1 765,0 ათასი ლარი; სხვა - 65,0 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2006 წლის ეკონომიკური ფუნქციონირების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა წინასწარ სტატისტიკურ მონაცემებს, რომლის საბოლოოდ დამუშავების შემდეგაც დამატებით წარმოგიდგენთ ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკაში მიღწეული სოცილურ-ეკონომიკური შედეგების შესახებ.

### ინვესტიციები

| № | მაჩვენებელი | ზომის ერთეული | საანგარიშო პერიოდი | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, პროცენტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | ინვესტიციები ძირითად კაპიტალში | ლარი | 75 550 000 | 65 270 000 | 115.75% |
| | მ.შ. არასახელმწიფო სექტორი | – | 68 850 000 | 56 850 000 | 121.11% |
| 2 | უცხოური ფინანსური ინვესტიციები (პრივატიზაციის ან რეზიდენტი სუბიექტების აქტივებში სხვა ფორმით დაბანდებული) | – | 31 533 000 | 21 017 000 | 150.04% |

განხორცილდა ინვესტიციები საფეიქრო მრეწველობაში, რაც დადებითად აისახა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებაზე. უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ფუნქციონირება დაიწყო ხილის გადამმუშავებელმა საწარმოებმა შპს „ნარინჯი“ და „ქართული პროდუქტი“. მილიონი აშშ. დოლარის ინვესტიცია განხორცილდა ჩაის გადამმუშავებელ მრეწველობაში. ჩაი საექსპორტო მნიშვნელობისაა და ძირითადად რუსულ და მონღოლურ ბაზრებზე გადის. საინვესტიციო მიმართულებები: ინოვაციური ტურისტული პროდუქტის ფორმირება და სასტუმრო მეურნეობა; ბატუმის საზღვაო-სავაჭრო

ნავსადგური; საშენ მასალათა წარმოება; ტრანსპორტი და სასაწყობო მეურნეობა; აჭარის მდინარეებზე მცირე ჰესების მშენებლობა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და გადამუშავება; ავეჯისა და ხის ნაკეთობათა წარმოება; ფარმაცევტული მრეწველობა; სათამაშო ბიზნესი; ინვესტიციები უძრავ ქონებაში, ბინათმშენებლობა; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა.